

619
1967



פאמילי

№ 3 80680 1967

შესაუბლიის უმაღლეს და
ადგილობრივი საბჭოების არ-
ჩევნებში მთელმა ჩვენმა ხალხ-
მა ერთსულოვნად მისცა ხმა
საფორმლოს ღირსეულ შვი-
ლებს — კომუნისტებისა და
უპარტიოების გლოკის კანდი-
დატებს.

19 აგვისტო- აქრეპნეის ღრუა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შვერთღით!

ღრუა

№ 3 (364) მ ა რ თ ი, 1967 წ.

გამოცემის წელი 15-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტი-
კური და სელიგიაკავი-სამხეაგვი
ქარნალი

ზამთრის სასახლე კონსტრუქცია



1917 წლის 25 ოქტომბერს გაიხსნა სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დეპუტატთა მეორე ყრილობა. გადაწყვეტილი იყო დროებითი მთავრობის დამხობა ყრილობის გახსნამდე, რათა ყრილობა ფაქტის წინაშე დამდგარიყო. ზამთრის სასახლის აღება რომ შეფერხდა, ეს ამბავი მეთისმეტად აღელვებდა მთელ სმოლნს. ამ დაძაბული მოლოდინის ყოველი წუთი თითქოს საათს უღრიდა. ამხანაგი ლენინი ათობით ბარათებს გვიგზავნიდა მე, ანტონოვს, ჩუდნოვსკის, რომლებშიც გვკიცხავდა, რომ ჩვენ ვაჭიანურებთ ყრილობის გახსნას და ამით ვიწვევთ მღელვარებას ყრილობის დეპუტატთა შორის: „ყრილობის სხდომა უნდა გაიხსნას, ზამთრის სასახლე კი ჯერ აღებუთ არ არისო“.

ზამთრის სასახლის აღებას უფრო მეტი მღელვარებით მოელოდნენ ჯარისკაცები. ისინი განუწყვეტლივ მოითხოვდნენ გაგვეგებინებინა მათთვის, თუ რატომ არ ვიწყებთ შეტევას სასახლეზე და რატომ არ მივუშლავთ საკადრისს დროებით მთავრობას. წითელგვარდიელები უფრო მოთმინებით იყვნენ. ისინი დაძაბულნი იდგნენ სადარაჯოებზე. მათი მწყრივები დაჭერებით და ღინჯად მიიწევდნენ წინ, ძალზე ფრთხილად ეწეოდნენ სადაზვერვო სამსახურს. განსაკუთრებით ეცემოდა თვალში ადამიანს დაძაბულობა და სიფხიზლე წითელგვარდიელებისა, რომლებიც სათავეში იდგნენ ჩვენს მოწინავე კოლონებს. მათი მზვერავები გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს, რათა კონტრრევოლუციონერები არ შეხვედროდნენ ჯარისკაცებს და გავლენა არ მოეხდინათ მათზე.

მწყრივები სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ ზამთრის სასახლის მოედანს, მ საათისათვის სასახლე გარემოცული იყო ჯარისკაცთა მწყრივებით. ჯარისკაცები და მეზღვაურები გადარბენებით თანდათანობით იკავებდნენ სასახლის მახლობლად მდებარე ქუჩების კუთხეებს და მოფარებულ ადგილებს, საიდანაც ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო იერიშის დაწყება.

იუნკრები, რომლებიც სასახლის ჰიშკართან შეშის შტაბელების ბარიკადებს ამოჭარბოდნენ, ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ჩვენი მოწინავე მწყრივების მოძრაობას და მათს ყოველ წინ გადადგმულ ნაბიჯს ტყვიამფრქვევებისა და თოფების ცეცხლით ხვდებოდნენ.

მახლობელ ქუჩებსა და სანაპიროებზე ჩვენი ჯარისკაცები შეფარვისთვის იყენებდნენ ყოველ ჩაღრმავებულ ადგილს; ისინი თითქოს შერწყმულნი იყვნენ გრანიტის კედლებთან.

ყველგან იგრძნობოდა დაძაბულობა და იერიშის დაწყების დიადი წუთის მოლოდინი.

ჯარისკაცები, რომლებიც თადარიგში იყვნენ, იკრიბებოდნენ კოცონების ირგვლივ, რომლებიც ააბოლეს შებინდების დაწყებისთანავე. ჯარისკაცების მოუთმენლობა იზრდებოდა. იგინებოდნენ, თხოულობდნენ დაუყოვნებლივ წინსვლას, გაბრაზებულები ამბობდნენ: „ბოლშევიკებმაც დიპლომატიის გაჩაღება დაიწყესო!“

„ბოლიცებზე“ ზამთრის სასახლის ირგვლივ ჩვენც იმავე მოუთმენლობას ვცავდით შეპყრობილნი. მაგრამ, რაკილა გამარჯვება უკვე უზრუნველყოფილი იყო, ჩვენ ველოდით დროებითი მთავრობის სამარცხვინო აღსასრულს. ჩვენ გვინდოდა მიგვეღწია იმისათვის, რომ მას თვითონ დაეყარა იარაღი რევოლუციის ძალების წინაშე, რომელსაც აშუამად ჩვენ წარმოვადგენდით. ჩვენ არ ვიწყებდით ქვეშევრდების სროლას, ვინაიდან გზას ვუთმობდით სამოქმედოდ ჩვენს უფრო ძლიერ იარაღს—კლასობრივ ბრძოლას; დროებითი მთავრობა თვით რევოლუციის მსვლელობით იყო განწირული სასიკვდილოდ. ჩვენ აღარ გვჭირდებოდა დაგვედვარა მიწაზე გართხმული მტრის სისხლი; ხდებოდა უმნიშვნელოვანესი აქტი, როცა შემთხვევითი რეჟიმი ისტორიის მტვრად უნდა გადაქცეულიყო.



მუშის
კმზმ

სანდრო მანუილსონი

თუშის გოგომ, ტურფა ელამ
გამოცდები ჩააბარა;
ახლა იგი არის მწყემსი,
წინ მიუძღვის ცხვრების ფარას!

გვერდით სამი ძალი მისდევს,
ერთი ანჩხლი, ჯავრიანი!
ქალი ქვაზე ჩამოვდებ
ნაწნავებ — თვალ-წარბიანი;
ვეგონება ნახატია,
ღვთისმშობელი მარიამი!



შეგვერემანი ეშხით დაგწვავს,
სილამაზით გაგაოცებს;
ვინ იქნება ბედნიერი
და ამ ყვაელის ვინ აკოცებს?

დალოლილ ბატყანს ხელში იყვანს,
დაასვენებს, ისევ უშვებს;
ცხვარი უკვე საფარში ჰყავს,
როს შხაპუნა წვიმა უშენს!

რაიონში მისი ქება
აკერია ყველას პირზე;
ის არ არის მარტოხელა,
დანიშნულა ბრიგადირზე!

ჭრელთვალემა, ქერა ბიჭის
სიყვარული ჩაექსოვა;
ახლაც იმის ლოდინშია,
შორს არ არის, მალე მოვა!

ასეთია თუშის გოგო,
უყვართ ახლებს, უყვართ ძველებს;
მისებრ გამრჩე ქალთა შრომით
საქართველო იღლეგრძელებს!



სამი საათისათვის დროებითი მთავრობის მდგომარეობა უკვე გამოუვლი იყო. მთელ სექტორში ჩვენი მწკრივები ზამთრის სასახლისაგან მხოლოდ რამდენიმე ასეული ნაბიჯით-ღა იყო დაშორებული. უკვე ყველა ვაგზალი, ტელეფონი, ტელეგრაფი, ელექტროსადგური, წყალსადენი ჩვენს ხელში იყო.

დროებით მთავრობას სამხედრო დახმარება შეიძლებოდა მიეღო მხოლოდ მაშინ, თუ გადაივიდნენ რამდენიმე პოლიტკარისკაცთა გვამებზე. ეს პოლიტკარები უკვე 28 ოქტომბრიდან იცავდნენ პეტერბურგის ყველა სადარაჯოს. ეს მარტო პოლიტკარები როდი იყო, არამედ მეტროპოლითა კავშირი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ბოლო მოეღო საბჭოთაული მთავრობისათვის, მემამულეებისა და ბურჟუაზიისათვის.

მოგვიტხოვრებენ, რომ იმ დროს, როცა ჩვენ მთლიანად მზად ვიყავით ზამთრის სასახლეზე იერიშისათვის, დროებითი მთავრობის დაცვის სულიწამადგმელი პალჩინსკი სასახლეში სიტყვით მიმართავდა იუნკრებს, კაზაკებს, გიორგის კავალერთა ბატალიონისა და ქალთა ბატალიონის ჯარისკაცებს, რომელთაც უკვე მერყეობა დაეწყო: პალჩინსკი მათ ეუბნებოდა, რომ დახმარება მოდის, რომ კერენსკის ჯარი მოჰყავს ფრონტიდან. პალჩინსკიმ შესძლო მოეტყუებინა მთავრობის წევრებიც და ეს ჯარისკაცებიც. მაგრამ მან შესძლო ეს რწმენა შეაენერგა მათთვის მხოლოდ რამდენიმე საათით.

ექვსი საათისათვის დროებით მთავრობას გვეუფავანეთ პირველი ულტიმატუმი — დაგვინებდითო. „ავრორას“ და პეტროპავლოვსკის ციხე-სიმაგრის ქვეშეები დამიზნებული იყო სასახლეზე, რათა ალყაშემორტყმულთათვის ეკარნახათ შესაფერი პასუხი ულტიმატუმზე. პასუხისთვის დრო 20 წუთი ჰქონდათ. მაგრამ სასახლე ყოველნაირად აჭიანურებდა პასუხს. ულტიმატუმი შეიცვალა გაფრთხილებას, რომ თუ ზამთრის სასახლე არ დაჰყრდა იარაღს, „ავრორა“ სროლას დაიწყებდა.

პალჩინსკიმ მეორეჯერაც მოახერხა მოეტყუებინა იუნკრები. დამკვრელთა ბატალიონები და სასახლის სხვა დამცველები და აიძულა ისინი კიდევ რამდენიმე საათით ერთგულნი დარჩენილიყვნენ განწირული რეჟიმისადმი.

ქუჩებში უკვე იგრძნობოდა ძლიერამოსილი სიდიადე რევოლუციისა. სასახლის კედლებს შიგნით კი მინც რაღაცის იმედი ჰქონდათ, რაღაც არარსებულის იმედი. მაგრამ ზამთრის სასახლე, თანდათან, საშხედრო ბანაკიდან იქცეოდა პოლიტიკური ბრძოლის არენად. კაზაკებმა მიტინგების მოწყობა დაიწყეს, უღალატეს დროებით მთავრობას, გადაწყვიტეს ნეიტრალიტეტის გზას დასდგომოდნენ და წავიდნენ სასახლიდან. კონსტანტინეს სახელობის სამხედრო სასწავლებლის ბატარამ, ისარგებლა რა სასწავლებლიდან მიღებული ბრძანებით დაეტოვებინათ ზამთრის სასახლე, აღარ მოისურვა დამორჩილებოდა სასახლის დაცვის უფროსს, მიატოვა პოლიცია და წავიდა. სასწავლებლიდან ბატარეა გამოიძახეს ჩვენი ზეგავლენით და იმის გათვალისწინებით, რომ ზამთრის სასახლის დამცველთა მდგომარეობა უიმედო იყო.

შემდგომში მე არა ერთგვის მთხოვდნენ ამხსნა, რატომ მოხდა, რომ თუმცა ჩვენ ძალაც და შესაძლებლობაც გვეყოფოდა უკვე ექვსი საათისათვის ბოლო მოგვედო დროებითი მთავრობისათვის, თვითონვე დავაყოფნეთ ეს ამბავი. მე ვპასუხობდი: დიახ, ვითარება სასახლესთან ისეთი იყო, რომ საქმარისი იყო მიგვეცა იერიშის ბრძანება და რამდენიმე ასეული გმირი მეტროპოლის სისხლის ფასად ავიღებდით სასახლეს. მაგრამ იმ ისტორიულ წუთებში რევოლუციის დამცველთა სისხლის ყოველი წვეთი უფრო ძვირფასი იყო ჩვენს თვალში, ვიდრე უამისოდაც განადგურებული მტრის ყოფნა-არყოფნა. მტრის ძალა უკვე დაერღვია ჩვენი სამხედრო ორგანიზაციის წევრთა, საერთოდ ჩვენს მომხრეთა აგიტაციას კაზაკთა და იუნკერთა წრეში და აგრეთვე იმ გადაცემულ ჯარისკაცებს და მეზღვაურებს, რომლებიც საიდუმლო შესასვლელით იყვნენ შესულნი ზამთრის სასახლეში.

რვა საათზე, ჩვენი თანხმობით, განმეორებითი ულტიმატუმით ზამთრის სასახლეში წავიდა ამხანაგი ჩუდნოვსკი; გაიარა დაქმულება დრომ. ჩუდნოვსკისაგან არავითარი ცნობა არ იყო. ის დააკავეს. პალჩინსკი მერყეობდა: დაეწყო მოლაპარაკება თუ დაეხვებოდა წარგზავნილი. ამხანაგი ჩუდნოვსკი მოწოდებით მიმართავს იუნკრებსა და დამკვრელი ბატალიონების ჯარისკაცებს დაუარონ იარაღი. გიორგის კავალერების ბატალიონის ნაწილი მერყეობს, შემდეგ გადაწყვეტს გადაუდგეს დროებით მთავრობას, ჰყრის იარაღს.

ისინი სასახლიდან მოედანზე გამოდიან, „გნებდებითო“, გვეუბნებიან. მჭეპარე „ურა“ ისინი მოედანზე სიხარულის ნიშნად. ტყვედღანებულნი მიჰყავთ მოედნიდან.

იარაღს ჰყრის ქალთა ბატალიონიც, მალე ისინიც ჩნდებიან მოედანზე. ჩვენი მეტროპოლიტი გრძობენ, რომ ახლოვდება ხელისუფლებისათვის რვა-თვიანი ბრძოლის ფინალი, უკანასკნელი აქტი ასწლიანი ბრძოლისა... კვდება შემადარწუნებელი წარსული, და ქაროშხალში იბადება დიადი, უძვირფასესი, სასიხარულო ეპოქა...

ჩვენ გამარჯვების სიხარულისაგან გაბრუებულნი ვართ. მაგრამ ჩვენს სიხარულს ის ჩრდილავს, რომ არ ვიცით რა დაემართა ჩუდნოვსკის.

ჯარისკაცები იკავებენ პეტროგრადის ოლქის შტაბს. ამხანაგი ანტონოვი შედის შტაბში, იღებს ტელეფონის მილს და რეკავს სასახლეში. სად არის ჩუდნოვსკი? უცდის პასუხს.

მე კი, ამხანაგ ერემიევთან ერთად, ვამოწმებ ყველა ჩვენს პოლიციას, თავს ვუყრით რევერენს შტაბებში, რომლებიც სასახლა დაპატიმრებულებით, ყველა ტელეფონს უჭის. უცდია პასუხს — დამთავრდა თუ არა ყველაფერი. ბალტიის ეკიპაჟში მეზღვაურთა რისხვისაგან ვიხსენით გენერალი ბაგრატიონი, რომელიც ჩვენი იქ ყოფნისას მოიყვანეს.

ბალტიის ეკიპაჟის შტაბიდან სადმიროლოს სანაპიროთი მივიღვართ პეტროპავლოვსკის ციხე-სიმაგრეში, ჩვენს ღელმძღვანელ ოპერატიულ შტაბში. ციხე-სიმაგრეიდან გადავცემთ ბრძანებას ჯარისკაცთა მწკრივებს დაიძრან წინ, დაიკავონ ყველა პუნქტი მოედანზე და გაემართონ სასახლის ჭიშკრისაკენ.

თან წამოვიყვანეთ ციხე-სიმაგრის კომენდანტი ამხანაგი ბლაგონრავეცი, ავტომობილი მთელი სისწრაფით მიჰქრის ზამთრის სასახლისაკენ.

ავტომობილი, დია ფარებით, გადადის ხიდზე, ერმიტაჟთან... უცებ ამხაურდნენ ტყვიამფრქვევები, გაისმა თოფების სროლა... სეტყვასავით წამოვიდა ტყვია. ეს იყო წუთები სიკვდილისა და სიცოცხლის შორის. შოფერმა დაამუხრუჭა და უკან-უკან წაიყვანა მანქანა. ხიდს შევეფარეთ, ჯადარჩენილნი ვართ.

ბლაგონრავეცის ვუბრძანე სასწრაფოდ დაბრუნდეს პეტროპავლოვსკიში და გახსნას ცეცხლი.

ჩუდნოვსკი მინც არა ჩანს. სასახლე პასუხს არ აძლევს ანტონოვს. ჩვენ შეგვატყობინებს, რომ ჩუდნოვსკისთან ანგარიშის გასწორებას აპირებენ.

რამდენიმე წამი... და პირველად მას შემდეგ, რაც დეკარისტები შეებნენ თვითმპყრობელობას, თითქმის ასი წლის დუმილის შემდეგ, პეტერბურგის ქუჩებზე გაიზუზუნეს ქვეშეების ყუმბარებმა, მაგრამ არა ხალხის წინააღმდეგ, არამედ ხალხის დასაცავად.

რამდენიმე ხელყუმბარა აფეთქდა სასახლის დერეფნებში. გათვდა ყოყმანი, მეზღვაურები, წითელგვარდიელები, ჯარისკაცები, ტყვიამფრქვევების ცეცხლის ქვეშ, გადაფრინდნენ ბარიკადებზე, გადათელეს მისი დამცველები და შეცვივდნენ სასახლის ჭიშკარში... ეზო დაკავებულია... მირბიან კიბებზე. საფეხურებზე შეებმან იუნკრებს, სძლევენ მათ, არბიან მეორე სართულზე, აქეთ-იქით მიმოშფანტავენ დროებითი მთავრობის დამცველებს, არბიან მესამე სართულზე. იუნკრები იარაღს ჰყრიან. ჯარისკაცები, წითელგვარდიელები, მეზღვაურები სწრაფ ნაკადად მიეშურებიან წინ... ეძებენ მათ, ვინც ამ უბედურების მიზეზი გახდა. ამტვრევენ ჩაკეტილი ოთახების კარებს. აი, მათ მიიბნინეს კართან, სადაც უარაულში დგანან, შიშისაგან გაქვავებული, მოვალეობის ძალით შებოძილი იუნკრები.

— აქ დროებითი მთავრობაა! გაიშვირეს წინ სიშტები. გაისმა შეძახილი „ძირს“, და ხალხის ტალღა ოთახში შეიჭრა. მათთანაა ანტონოვიც.

— პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის სახელით ვაცხადებ დროებითი მთავრობის დამხობას! — ამბობს ანტონოვი, — ყველანი დაპატიმრებულნი ხართ.

დამხობილი მთავრობის წევრები ლულულულებენ დავიცვათ ისინი მასები-საგან. მეზღვაურებს გამოჰყავთ ისინი ოთახიდან. ისმის ყვირილი: კერენსკი, სად არის კერენსკი... ის თურმე წინააღმდეგ გაიქცა პეტროგრადიდან, რათა ფრონტიდან ჯარი წამოეყვანა.

დაპატიმრებულნი მიჰყავთ ქვევით, ეზოში. წითელგვარდიელები გარს ერტყმიან ყოფილი მთავრობის წევრებს და მიჰყავთ ისინი პეტროპავლოვსკის ციხე-სიმაგრეში.

ისმის ბრძანება: „ყველანი მოეწყეთ თავ-თავის პოლიკებად“. ასე მთავრდება 25 ოქტომბრის დღე.

ზამთრის სასახლე უკვე საიმედო ხელშია. რამდენიმე საათის შემდეგ მის კომენდანტად და კომისრად ინიშნება ამხანაგი ძევიალტოვსკი.


შულამისას, სმოლნში, საბჭოების ყრილობაზე ცხადდება, რომ ზამთრის სასახლე აღებულა და დროებითი მთავრობა — დაპატიმრებული.

ამ ცნობას ყრილობა აღტაცებით შეხვდა.


მე დავრჩი მოედანზე მანამდე, სანამ მთელი ჯარი არ წამოვიდა იქიდან.

ყარაული დაღვა თავის პოსტებზე, მე წავიდი სმოლნში. ორი საათი იყო შეგვიდე ვლადიმერ ილიჩთან. იქ დამხვდა ბონჩ-ბრუევიჩი. ო, რა დიადი და სასიხარულო იყო ეს შეხვედრა!

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის აქტიური მონაწილის, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრის ნ. ი. პოლკოვნიკის ეს სიტყვა წარმოთქმული იყო 1920 წელს, 7 ნოემბრის საუბრობის სადამოუფ. ქართულ ენაზე იბეჭდება პირველად.



ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ფრ. შატბერაშვილი დაკვირვებას აწარმოებს რიონის წყალგამანაწილებელი კვანძის მანქანებზე.



ფოტო მ. თურქიანი



წყალი ჩვენს პლანეტაზე ბევრია. თუ მას თანაბრად გავუნაწილებთ დედამიწის ყველა მცხოვრებელს, თვითელი იმდენი წყლის მფლობელი გახდება, რომ მას შეუძლია თავისუფლად ხარკოს იგი მილიონი წლის განმავლობაში.

და მიუხედავად წყლის ასეთი სიუხვისა, ჩვენს პლანეტაზე წყალი მაინც ცოტაა.

ეს პარადოქსი როდია.

უწყლობისაგან იტანჯებიან უდაბნოები, არასაკმარისი სინოტივის ზონები, რომლებსაც ხმელეთის ნახევარზე მეტი უჭირავთ. ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე ცხოვრობს მხოლოდ ას ორმოცდაათი მილიონი ადამიანი — ორ-ორი კაცი ერთ კვადრატულ კილომეტრზე, ოცდახუთჯერ ნაკლები, ვიდრე საშუალოდ ცხოვრობს ევროპაში.

ამ ადამიანებს უკვე დღესვე აკლიათ 20 მილიონი კუბომეტრი წყალი დღემდე. მაგრამ ამ რაიონების მოსახლეობა მაინც განუხრელად იზრდება. იგი ორმაგდება ყოველ ორმოც-ორმოცდაათ წელიწადში და წყლის უკმარისობაც სულ უფრო მწვავე ფორმებს იღებს.

ჩვენი სამშობლო საქართველო არ მიეკუთვნება ამ ზონებს, მაგრამ წყლის რესურსების რაციონალურად და გონივრულად გამოყენება აქაც ერთობ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ამ საქმეს ემსახურება საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელორაციის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, რომელიც თავის ამოცანად ისახავს ხელი შეუწყოს წყალთა მეურნეობის დარგში პარტიისა და მთავრობის მიერ წამოყენებული ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

ჩვენი პარტიის XXIII ყრილობამ, ხოლო შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მთავარი პლენუმმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ძირითად პირობად აღიარეს სამელორაციო სამუშაოთა გრანდიოზული პროგრამის შესრულება, რაც უზრუნველყოფს მარცვლული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღებას.

საქართველო მცირემიწიანი რესპუბლიკაა. ნათესების ფართობების გამოდევნით ზრდა აქ შეუძლებელია. ამიტომ მოსავლიანობის გადიდება უფრო ხელსაყრელია მიწის თვითელი ჰექტარის ნაყოფიერების ამაღლებით. ამის საშუალებას კი გვაძლევს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია ანუ ნიადაგის ეროზიის, დამლაშებისა და დაჭაობების აღკვეთა, გვაძლევს ნეიტრალიზაცია, ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება.

ამ საქმეში დიდი სარგებლობა მოაქვთ იმ მეცნიერულად დასაბუთებულ რჩევა-დარიგებებს, რომლებსაც მეცნიერები და, კერძოდ, ჩვენი ინსტიტუტის მუშაკები აძლევენ სოფლის მეურნეობის მუშაკებს რწყვის რეჟიმის, ტექნიკისა და ხერხების თაობაზე.

მართო გასულ წელს ინსტიტუტის კოლექტივმა საქართველოს სსრ მელორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დასაწერავად გადასცა 20 ასეთი მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაცია. ეს ღონისძიებანი ეხებიან კახეთის პირობებში ვენახების მორწყვის რეჟიმის დადგენას, ალაზნის ველის მლაშე მიწების გამტკნარებას, სარწყავი და საშრობი არხების შლამისა და მცენარეებისაგან გასაწმენდი მანქანების გამოყენებას, ტერასირებულ ფართობებზე ნათესების რწყვის წესებს, ნიადაგებისაგან მიწების დასაცავი ელასტიკური ბადურა-ნაგებობების მოწყობას, პოლიმერული მასალებიდან გაკეთებული საწვიმებელი აპარატურის გამოყენებას და ა. შ. თვითელი ეს ღონისძიება სასოფლო-სამეურნეო წარმოებას დიდ ეკონომიურ ეფექტს მისცემს.

ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა დეტალურად შეიმუშავეს ინსტრუქცია იმის თაობაზე, თუ როგორ, რა ვადებში და რა წესით უნდა მოიპყროს კახეთის ვენახები. ამ ღონისძიებათა განხორციელება ყურძნის მოსავალს 50 პროცენტით გაზრდის.

სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ტრაქტორ „დტ-54“-ის ბაზაზე შექმნა საწვიმებელი აგრეგატები, აგრეთვე საკუთარი სისტემის საწვიმებელი აპარატები № 1, 2, 4, 8 და 16, რომლებიც ამჟამად დანერგულია წარმოებაში. წვიმამ დაიგვიანა! — შეუკვეთეთ წვიმა ამ მანქანების ოსტატებს.

1965 წლისათვის გამოშვებულ იქნა 800 ცალი საწვიმარი აგრეგატი, აპარატი კი — 1000 ცალი, რომელთა მეოხებითაც მარტო 1965 წელს უზრუნველყოფილ იქნა საქართველოში 6.400 ჰექტარი ჩაის პლანტაციის დაწვიმება და აგრეთვე მრავალი ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვა საბჭოთა კავშირის სხვა სარწყავ რაიონებში.

აქ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: ინსტიტუტის მეცნიერულ რეკომენდაციათა პრაქტიკაში დანერგვისათვის საჭიროა უფრო მეტი კვალიფიციური მელორატორები, სარწყავი არხების სათხრელი და საწმენდი მანქანები და ამ მანქანებს დაუფლებული მექანიზატორები, რომელთა ნაკლებობა, რაც დრო გადის, მით უფრო შესამჩნევი ხდება. ეს კი დღის წესრიგში აყენებს ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჰიდროსამელორაციო ფაკულტეტის ხელახლა შექმნა დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებით; ამას გარდა, უნდა მოეწყოს სპეციალური კურსები მრეწველობისა და საკოლმეურნეო წყალთა მეურნეობის სხვა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად.

გ. ბაგოშიძე

ჰიდროტექნიკისა და მელორაციის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი.

წყალმიმღები ნაგებობის მანქანის გამოცდა მდინარე ბაქსანზე. წინა პლანზე — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები გ. გაჩიჩილაძე და რ. დანელია.

მოდის შხაბუნა წვიმა.





— ჰაჰა აქვს?

— ექნება, ჰკითხეთ.

პალატაში სინათლე არ ენთო. ღერეფნიდან თუმცა მკრთალი შუქი შემოდინოდა, საღამოს ბინდის გამო ვერ შეგინიშნე სად ედგა იმ კაცს ჰქია. ავადმყოფისკენ არც გამიხედავს, ისე ვკითხე:

— სად გაქვთ ჰქია?

— მანდ სადღაც უნდა იყოს, ზევით, კარადაზე.

მივდიოდი გოლას საწოლისაკენ, სადაც უნდა გამემზადებინა ამ კაცისთვის მურაბიანი ჩაი და გზაში სულ ვფიქრობდი: „სად მქონდა ვაგონილი ეს ხმა? ეს დაბალი, ოდნავ დახშული, შემპარავი სიტკბოთი აღსავსე ხმა?“.

ნანა კანელაიკი

მოთხრობა

ზოგ იყო ნაქოვნი ქოვნი

იმ დილით ჩვეულებრივზე ადრე ავდექი. გარეთ წვიმდა. ავტო უკვე ერთ კვირაზე მეტი და ოთახში ნესტის სუნის იდგა.

— აღარ აბირებს ეს წვიმა გადაღებას? — მომესმა შუშაბანდიდან დუტუს ნამძინარევი ხმა.

— გაიღვიძე, შვილო? ადექი, ლექციაზე არ დაგავიანდეს.

დუტუს სასწრაფოდ წამოხტა. ვისაუზმეთ. სახლიდან გამოსვლისას შვილი გავაფრთხილე:

— დამავიანდება დღეს სამსახურიდან მოსვლა. ჩვენი განყოფილების უფროსი უნდა ვინახულო. საავადმყოფოში წივს.

— ვინ? ძია გოლა?!

— ჰო, ოპერაცია გაუქეთეს. ყველამ ინახულა, მეც უნდა მივიღე, უხერხულა.

გოლა კავსახე ძველი ინჟინერი იყო. თავისი საქმე ბრწყინვალედ იცოდა. პირად ცხოვრებაში კი უბედური კაცი იყო. ორი ვაჟი ომში დაეღუპა, ერთი წლის წინ ცოლიც გარდაეცვალა და მარტოდ დარჩენილს მთელი საბრძოლველი ინსტიტუტის თანამშრომლები მშობელი მამასავით თავს ევლებოდნენ, პატრონობდნენ.

ჩემი მისვლა ძალიან გაეხარდა.

— მეგონა აღარ გელირსებოდი თქვენს ნახვას! — მორიდებით მისაყვედურა. — დამივიწყეთ ბერიკაცი, ჭუნა, დამივიწყეთ...

— შეუძლოდ ვიყავი, ბატონო გოლა!

— ვიცი, მითხრეს...

— პატივცემულო გოლა! მცირე საჩუქარი მოგიტანეთ. ალუბლის მურაბაა, ჩემი მოღუღებული. გასინჯეთ.

— სიამოვნებით გეახლებით. ცხელი ჩაი თერმოსში მაქვს შენახული.

გოლამ გემრიელად დალია მურაბიანი ჩაი და ბოლო ყულუბი რომ მოსვა ჰქიდან, თითქოს ახლა გაახსენდაო, ვილაცას გასძახა პალატის ბოლოში.

— გაციმბირებულსო ქართველო! ალუბლის მურაბით ჩაის ხომ არ მიირთმევ?

— ეჰ, სად არის, თორემ უარს რატომ ვიტყვოდი.

— აბა, ასე ნატვრა შეგისრულდეს! დახუჭე თვალი და ღმერთით მანდილოსანი მურაბიანი ჩაის მოგართმევს.

— პატივცემულო გოლა! ნუ, ასე ნულარ მეხუმრებით.

— მაპატიეთ! მიხედეთ იმ კაცს, ისიც მშენებელია, ოღონდაც სახლებს კი არა, ელსადგურებს აშენებს. ციმბირში მუშაობს. ახლა ჩვენი სტუმარია, ენგურბესზე ჩამოუყვანიათ კონსულტაციისათვის და უკვე წასვლისას, აჰ, თბილისში ბრმა ნაწილავის შეტევა დაემართა. სასწაულით გადაარჩა.

და ერთბაშად თითქოს დამმღერესო. საშინელი ტკივილი ვიგრძენი გულის არეში, სისხლი თავში ამივარდა: ნუთუ ბექარია? მაგრამ აქ საიდან გაჩნდა?.. ბექარი ციმბირში კი არა, სადღაც, ვგონებ მურმანსკში, თუ არხანგელსკში მუშაობს. ხმა კი, ხმა ბექარისაა. მის ხმას ათას კაცში გამოვარჩევ.

ჩაი ისე გავაშაღე, ხმა არ გამიცია გოლასთვის. ასევე უხმოდ გავემართე პალატის ბოლოში, იმ კაცის საწოლისაკენ და ჩაის ჰქია პატარა კარადის კუთხეში დავდგი.

— ინებეთ, ჩაი მზადაა, — ვთქვი ხმადაბლა.

ავადმყოფმა წამოიწია, მომაჩერდა და სიხარულით გალაღებულმა ერთბაშად დაუყვირა:

— ჭუნა... შენ?!

— ჰო, ჭუნა ვარ... — ძლივს ამოვიდგი ენა.

— მიცანი?

— ჰო. — ისე ხმადაბლა ვთქვი, არც კი ვიცი გაიგონა თუ არა, მაგრამ თვალებით მივხვდი, გამიგო.

— ჩართეთ სინათლე, რომელი ხართ მანდ კარებთან! — იყვირა თავისი ომახიანი, ძლიერი ხმით ბექარმა. — ჩართეთ სინათლე! კარგად დამახსხვეთ ეს ქალი.

— რაო, იცნობთ ერთმანეთს? — მოისმა გოლას ხმა.

— ვიცნობთ რომელია, ერთად გაეტარეთ ბავშვობა, ყრმობა. ერთ ეზოში დავრბოდით! — გასძახა ბექარმა და მამინევე ალურისანად მომმართა: — დაჯექი, ჭუნა, გეხვეწები, დაჯექი. დამენახე!

რატომღაც სიბნელეში ყოფნა მერჩია, რომ არავის დაენახა როგორ ველავდი.

— როგორ ხარ, ჭუნა? — მკითხა ჩურჩულით ბექარმა. სიბნელეში მოძებნა ჩემი ხელი, ტუჩებთან მიიტანა და თითები დამიკოცნა.

— კარგად ვარ, — ვუთხარი და ჩემი ხელი მორიდებით გავინთავისუფლე.

— რა თქმა უნდა, გათხოვდი...

არაფერი ვუთხარი და მისი უადგილო შეკითხვით გაოცებულს უნებურად გამეღიმა.

ბექარმა დაბნეული თვალები მომანათა.

— რა სულელი ვარ, აბა რას გეკითხები. ამ ანგელოზს ასე ვინ დაგტოვებდა, განა არ ვიცი? მე სხვა რამ მინდოდა მეკითხა. შეილება გყავს?

— ერთი ბიჭი. სტუდენტია უკვე, თვრამეტი წლისაა.

— ღმერთო ჩემო, რამდენი ხანია ერთმანეთი არ გვიხანავს.

ამ დროს ვილაცამ სინათლე ჩართო პალატაში. ელექტრონის შუქმა გაანათა ოთახი და მე და ბექარი, დიდი ხნის უნახავები, ცნობისმოყვარეობით მივაჩერდით ერთმანეთს.

— ისევ ის ჭუნა ხარ, გეფიცები, კიდევაც უფრო

დამშვენებულხარ. მე კი დავბერდი, ხომ? თქვი, გეხვეწები, თქვი რამე.

ხმა არ გავეცი.

წლებს მართლაც თავისი დადი დაუსვამთ ბექარისათვის, მთლად გაჭადრაკებული იყო და შუბლიც ნაოჭებით დაფარვოდა.

— ხმა გამეც, ქალო! ვიცი, გამწყვარი ხარ ჩემზე. ათასჯერ დამნაშავე ვარ შენთან, — ბექარი მცირე ხნით დადუმდა, თავი კედლისაკენ შეაბრუნა, მერე აცრემლებული თვალები მომავსო და გამწყვარებულმა ჩაილაპარაკა: — შენ რომ იცოდე, ცხოვრებამ მახლევეინა ჩემი დანაშაული. უბედური ვარ, დამიჭრე. ვერ ავაწყე ჩემი ცხოვრება, ვე-

ლა. ვითხრა სიმართლე რატომ გადავიხვეწე აქედან?

— იქნებ ჩემს გამო? — ნაძალადევად გამეცინა.

— რომ დაგიფიცო, რაც კი მეფიცება, არც მაშინ დაიჭრებ? განსაკუთრებით მას შემდეგ მრცხვენოდა შენთან შეხვედრა, ცოლი რომ შევიერთე. შიშავდა ჩემი თავი.

— ცოლ-შვილი როგორ გყავს?

— მე და ნინო ხუთი წელია, რაც ერთმანეთს დაეშორდით, ის და ბიჭი მოსკოვში ცხოვრობენ.

— რატომ დაშორდით, აღამიანო? — გულწრფელად შევწუხდი.

— ათასი მიზეზი იყო, რომელი ერთი ვითხრა!

— ახლა მარტო ხარ? — ვკითხე მორიდებით.

— სულ მარტო.

— რატომ?

— გულწრფელად გეტყვი: მყავდა მეორე ცოლი. ლენინგრადელი ქალი. არ გამოიჩერდა ციმბირში, გამექცა. მერე იყო სხვაც, მაგრამ მასთანაც... ახლა დღეღამე ვმუშაობ, ეს არის ახლა ჩემი ერთადერთი გართობა და სიამოვნება. მშენებლის ბედი გეცოდინება: უნდა იარო ერთი ქალაქიდან მეორესაკენ.

— კარგია რომ მუშაობაში მაინც თავდადებული ხარ! — მწარედ გადავკარი.

— შენს თვალში მე არარაობა ვარ, ხომ ჭუნა? დიდი დანაშაული მიმიძღვის შენს წინაშე, ვიცი, და არც ვფიქრობ თავის გამართლებას. დამიჭრე, ახლა იმას აღარ ჩავიდენდი, რაც მაშინ ახალგაზრდობით მომივიდა, გამოუტყდლობით. აქეთ რომ მოვდიოდი, მხოლოდ ერთი რამ მაშინებდა — შენ არ შეგხვედროდი. ჰო, ჰო, არაფრით არ მინდოდა შენი ნახვა, შენი რისხვის მეშინოდა.



— ნანობ რომ შეგხვდი? — სრულიად მშვიდად ვკითხე.

— პირიქით, მიხარია. იცი როგორ მიხარია! შევბაც ვიგრძენი. ყველაზე მეტად კი ის მიხარია, რომ აი ასეთს გხედავ, მხნეს, ბედნიერს. შენ გეკავრები, ხომ? თქვი რას ფიქრობ ჩემზე?

— არაფერსაც არ ვფიქრობ.

— ნუთუ ჩემმა ნახვამ არ მოგაგონა ის ბედნიერი დღეები? გახსოვს როგორ გავიცანით ერთმანეთი?

— როგორ არ გახსოვს. შენ სკოლიდან მორბოდი. უკან ხუთი ახმახი ბიჭი მოგდევდა. ერთბაშად შუა ქუჩაში დაგეწიე, მიწაზე დაგანარცხეს და ფეხებით, თუ ხელებით ცემა დაგიწყეს. ქუჩაში ჩემს მეტი არავინ იყო. შენ სულ ერთი თვის გადმოსული იყავი ჩვენი სახლში, მაშინვე გიცანი. შემეცოდე და ყვირილი მოვრთე: არიქა, მილიცია მოდის, თავს უშველეთ! ეს მე ისე, ყასილად ვიყვირე, მოვიტყუე. ბიჭები დაფრთხნენ და გაიქცნენ. შენ და-



ესკიზი ფილმისათვის „არსენა“
ნახ. მ. ჭიაურელისა

ახალციხე. „არსენას“ გადაღების
დროს.

„არსენა“

ძვირფასო მიხეილ!

ჩვენ დიდხანს ვიფიქრეთ, თუ როგორ აღგვენიშნა ჩვენი ურუნალის ფურცლებზე თქვენი დაბადების 70 წლისთავი.

გადავხედეთ ჩვენს სარედაქციო არქივს. მასში ბევრ თქვენს პორტრეტს წავაწყდით. მათ შორის შეგვხვდა თქვენი სურათი, გადაღებული ცხრამეტი-ოცი წლის ასაკში. მას წარწერილი აქვს „მ. ჭიაურელი — მოქანდაკე ი. ნიკოლაძის მოწაფე“.

აქვე მომდევნო წლების ფოტოებიც: მ. ჭიაურელი თავისი პირველი ფილმის გადაღების დროს, შემდეგ — მეორე, მესამე, მეოთხე ფილმი და ა. შ. მ. ჭიაურელი კ. მარჯანიშვილთან ერთად, მოსკოველ სტუდენტთა შორის, და სხვა მრავალი.

ბოლოს, ჩვენ შევარჩიეთ თქვენი ფოტოსურათი, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ, იგი გადაღებულია 30-იან წლებში, როდესაც დაიდგა „ღიადი განთიადი“, „არსენა“ და „უკანასკნელი მასკარადი“.

განუზომელია ის ღვაწლი და ამაგი, რომელიც თქვენ დასდეთ ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიას. თქვენმა ფილმებმა დიდი ხანია საუკველთაო აღიარება ჰპოვეს და კიდევ უფრო შორს გაიტანეს ჩვენი ქვეყნის სახელი, კიდევ უფრო ფართოდ გააცნეს მთელ მსოფლიოს ქართველი ხალხის წარსული და აწმყო.

გილოცავთ დაბადების 70 და მოღვაწეობის 50 წლისთავს, გისურვებთ დღეგრძელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

„დროშის“ რედაქცია



„გენერალი და ზიზილები“.





ბუბა კეიშვილის პორტრეტი



ნატურ-მორტი.

ნალი რიჰოვანი



ძველი ლობე.

სისხლიანებული ეგდე ქაფენილზე და მწარედ ტიროდი.

— აღეჭი, წამოდი, — გითხარი მე.

შენ უსიტყვოდ წამოდექი და გამომეყვი.

— მახსოვს, ჯუნა, ეზოში რომ მივედი, შენ ჩემი ჩანთა დაიჭირე ხელში, ონკანიდან წყალი მოუშვი და მანიშნე, დაიბანე პირიო. მე პირს ვიბანდი და. თან თვალს ვერ გაშორებდი. მოკადრობული მიუჩერებოდი შენს წაბლისფერ ნაწნავებს, თოვლივით თეთრ სახეს. ის დღე იყო და ის დღე, გულში ხატად ჩამესახე. ლანდევით უკან დაგდევდი. თუ ვახსოვს, იმ წელიწადს კინალამ ჩავიჭერი კიდეც გამოსაშვებ გამოცდებზე. მთელ კლასს სასაცილოდ არ ვყოფნიდი: — ამ პატარა გოგომ, ასე როგორ დაგბნიაო.

— მეც დამკინონდენ ჩემი თანატოლები.

— არასოდეს არ დამავიწყდება ჩვენი გასეირნება მთაწმინდაზე. შენ მტრედისფერი კაბა გეცვა და თავდაც ფერისა ჰგავდი. ჩვენ დიდხანს ვსეირნობდით მთაწმინდის პარკის ხეივანებში. როცა მოსალამოვდა, წვიმამ დაუშვა. გვიან დაგბრუნდით შინ. წვიმისაგან ძვლებამდე გალუმბულები დიდხანს ვიდექით ალყაფის კარებთან. განშორებისას შენ მაკოცე. ხომ ასე იყო, ჯუნა?..

— ჰო, ასე იყო, ბებარო! მე ვგრძნობდი, შენ ვერ მიბედავდი კოცნას, ჰოდა, თვითონ მაკოცე.

— მაშინ შეგფიცეთ ერთმანეთს მარადიული სიყვარული.

— მაგრამ შენ გასტეხე ფიცი, ბებარო.

— ჯუნა! — მკვდრის ფერი დაეღო ბებაროს, — აღარაფერი თქვა, ჯუნა, ვეხვეწები.

— არა, სათქმელი უნდა ითქვას! შენ მანამ გიყვარდი, სანამ მამაჩემი თავზე შედგა და ოჯახი სავესე გვექონდა. სანამ დიდი კაცის შვილის სახელი მქონდა, მანამ ვესახელებოდა ჩემს გვერდით ყოფნა. მაგრამ როგორც კი ჩემი მოზობები გაშორდნენ, ოჯახი დაინგრა და ერთ დღეში განიავდა წლობით დაგროვილი ბარაქა, განზე გადგიქი და ახლა სხვა, მდგომარეობით ჩემზე უფრო მეტი და უფრო მდიდარი ოჯახის ქალი შეიყვარე.

— ჯუნა, გაჩუმიდი, გული ნუ მომიკალი, — შეევედრებოდა ბებარო.

მაგრამ გრძნობადაფორიაქებულმა ვეღარ შევიკავე თავი. წლების მანძილზე გულის სიღრმეში დაგროვილმა წყენამ ერთბაშად იფეთქა.

— შენ ის სხვაც არასოდეს გეყვარებია.

— ჯუნა! ხომ ვახსოვს, დედაჩემს ბევრი ვყავდით. ერთმანეთის ნაცვამებში ვიზრდებოდით ბავშვები. ცხონებული დედაჩემის ბრალია, იმან გამაბრეყვა. მამაჩემი, ჯუნა, მამატიე!

— ეწუხვარ, რომ დედაშენი ვერ გხედავს დღეს, — ვთქვი და წამოვდექი.

ბებარაზე ხელი წამატანა კაბის ბოლოში. გამაჩერა.

— მითხარი, რით გამოვიციყო დანაშაული, მითხარი!

— დაუბრუნდი ნინოს, შვილს. ნ. ნოს და მის ოჯახს დიდი ამაგი მიუძღვის შენზე. შენ არ გაქვს უფლება დაივიწყო ეს. დღეს თუ კაცი ხარ, ეს ნინოს წყალობაა. მისი მზრუნველობის სანაცვლოდ, შენ რა გავიკეთებია? ამაზე არასოდეს დაფიქრებულხარ?

— მე კარგი ინჟინერი ვარ. ეს მოსკოვშიც აღნიშნეს, მშენებელთა თათბირზე. მე მიღებული მაქვს უამრავი მადლობა და სიგელი. შენ მიგაჩნია, რომ ეს ცოტაა?!

— ჩემო ბებარო! რომ იყო ნამდვილი ადამიანი, მართო სიგელები და მადლობები არა კმარა. უნდა იყო კარგი მოქალაქე, კარგი მამა, კარგი ქმარი, კარგი ამხანაგი და მეგობარი.

— შენ მირჩევ შევუბრუნებ ნინოს?! შენ გულწრფელად მირჩევ ამას?! — სახეში მომაჩერდა ბებარო.

— ჰო, გულწრფელად გირჩევ! — ვთქვი და ისე გამოვედი პალატიდან, მხოლოდ ქუჩაში მომიგონდა, რომ არც კი დავემშვიდობე გოლას.



ექიმის თანაშემწე მარო ხატიაშვილი (მარცხნივ) და ვერა ნინიკელაშვილი.



ვერა ნინიკელაშვილი.

1942 წელი, 8 ივლისი... ხანგრძლივი, გაფთრებული ბრძოლების შემდეგ, რიცხობრივად ჭარბმა პიტლერელთა ჯარებმა უდიდესი მსხვერპლის ფასად, როგორც იქნა, ხელთ იგდეს სევასტოპოლი.

მტერს ქალაქის ნანგრევები-და შერჩა ხელში. პიტლერელები სახმოდღოსი დაბოროტებდნენ გაბრტყელებულ სევასტოპოლში და გერმანიაში თავიანთი მახლობლებისათვის გასაგზავნად ამაოდ დაეცემბდნენ ძვირფას ნივთებს.

...ორ კვირას გაგრძელდა კატაკომბებიდან დაღანგრეული სახლების სარდაფებიდან გადარჩენილ საბჭოთა მოქალაქეთა და სამხედრო მოსამსახურეთა გამოსვლა. ესენი იყვნენ მძიმედ დაჭრილი მებრძოლები და მეთაურები, საექიმო პერსონალი, უმეტესად ქალები, რომლებიც ამ დაჭრილებს უვლიდნენ.

კატაკომბებიდან ამოსვლისთანავე დაატყვევეს გერმანელებმა ექიმის თანაშემწე ვერა ალექსის ასული ნინიკელაშვილი. საბჭოთა არმიის დაჭრილ მებრძოლებს, მეთაურებსა და მათ მომვლელებს თავი მოუყარეს მავთულხლართებით შემოღობილ მინდორზე, ღია ცის ქვეშ.

ტყვეები ჯერ ინკერმანში, ხოლო შემდეგ ბაღჩისარაის გავლით, სიმფეროპოლში ჩაიყვანეს; ვერა ნინიკელაშვილი, 18 წლის ქალიშვილი ძალ-ღონეს არ ზოგავდა დაჭრილთა მოვლა-პატრონობისათვის. დავრდომილ აწვდიდა საჭმელს, წყალს, თავისი ხელით აჭმევდა მძიმედ დაჭრილებს.

1942 წლის სექტემბერში, საბჭოთა ტყვეთა დიდ ჯგუფთან ერთად ვერა ნინიკელაშვილი კამენეც-პოდოლსკის ოლქის ქალაქ სლავუტის ტყვეთა ბანაკში მოხვდა.

როცა ტყვეები ეკლმავეთულხლართებით შემოფარგულულ გრძელ დერეფანში მიჰყავდათ, ერთ შემოღობილში ვერამ მარო ხუციშვილი, გუგული მანტკავა, თინა ღვინიაშვილი და ბაბუღია ნაჭყებია დაინახა. ისინიც ექთანები იყვნენ. ვერა ისე იყო გამოცვლილი, მათ ძლივს იცნეს, შემდეგ კი უთხრეს:

— შენი დედობილი მარო ხატიაშვილი აქ არის, ჩვენთან და შენს მოსვლას ვახარებთო.

...მარო ხატიაშვილი, ბევრი რამ მოაგონა ამ ადამიანის სახელმა ვერას.

ჩვიდმეტი წლისა იყო ვერა, ტექნიკუმი რომ დაამთავრა თბილისში. მომდევნო წელს კიროვბადის (ახერბაიჯანი) სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩაირიცხა მეზღვე-მეფენახეობის ფაკულტეტზე.

სწორედ მაშინ გაიცნო ვერამ კიროვბადის საფიქრო კომბინატის ექიმის თანაშემწე მარო ხატიაშვილი და მისი მეუღლე მფრინავი ნიკოლოზ ტყუასელი. უშვილო მარომ ვერა შვილად აიყვანა.

დაიწყო ომი. ნიკოლოზი ფრონტზე წავიდა. მოქმედ არმიასი წავიდნენ მარო ხატიაშვილი და ვერა ნინიკელაშვილიც. ისინი 224-ე მსროლელ დივიზია-



ში მოხვდნენ. ვერა ამ შენაერთის 111-ე საარტილერიო პოლკის დივიზიონში გააშენეს. 1941 წლის დეკემბრის დასაწყისს ვერა ნოვოროსიისკში ჩავიდა, იქიდან კი გემით მტრისაგან გარემოცულ სევასტოპოლში მოხვდა.

მარო ხატიაშვილი მონაწილეობდა 1941 წლის დეკემბრის სადესანტო ოპერაციებში, როცა საშინელ ყინვასა და ქარბუქში ჩვენი ჯარები ქერჩის ნახევარკუნძულზე გადასხდნენ. მარომ არა ერთხელ ჩააგდო თავისი სიცოცხლე საფრთხეში, სამაგიეროდ ბევრ ჩვენს ჯარისკაცსა და მეთაურს შეუნარჩუნა სიცოცხლე.

1942 წლის მაისი ყირიმის ფრონტის ბევრი მემორისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. მძიმე თავდაცვითი ბრძოლების დროს მარო ხატიაშვილი მარჯვენა საფეთქელთან მძიმედ დაიჭრა და მტერს ჩუვარდა ტყვედ. მეგობარმა ექიმებმა დიდი წვალებით გადაარჩინეს სიკვდილს. მაროს ჭრილობა კი მოურჩა, მაგრამ მარჯვენა თვალით დაბრმავდა.

...მეტად ამაღლეგებელი იყო დედობილ-შვილობილის შეხვედრა ტყვეობაში. მარომ ბანაკის კომენდატურაში განაცხადა, რომ ტყვეთა შორის ნახათვისი ქალიშვილი და სთხოვა ვერა მასთან მოეთავსებინათ ბარაკში.

და აი, ისინი კვლავ ერთად არიან. ტყვეობის ჯოჯოხეთურ პირობებში ერთმანეთს ათბობენ სიყვარულით, ამხნევენენ, იხედის გრძნობით ადავსებენ.

...სლავუტიდან შებეტოვკამდე — საბჭოთა კავშირის ძველ საზღვრამდე 25 კილომეტრია. იქ ძლიერი არაღლეგალური კომუნისტური ორგანიზაცია მოქმედებდა, რომელიც პარტიანებთან იყო დაკავშირებული.

მარო ხატიაშვილი თავის გარშემო იკრებს პატრიოტულად განწყობილ ადამიანთა ჯგუფს. ამ ჯგუფში, სხვებთან ერთად, შედიოდნენ ექიმი შადვა ბარამიძე, ექიმის თანაშემწე მიხეილ მიმინოშვილი, ფარმაცევტი მარია ხუციშვილი და სხვები. მარო ხატიაშვილმა, როგორც იქნა, დაამყარა კავშირი იატაკქვეშელებთან. იქიდან ჯგუფმა მიიღო

დავალდებ: „ბანაკის მცველთა აფთიაქში წამლების დიდი მარაგია, მოაწყვეთ იქ ვინმე სამუშაოდ, გვიშოვეთ მედიკამენტები დაჭრილი პარტიზანების სამკურნალოდ“.

აფთიაქში სამუშაოდ დიდის წვალბით მოაწყვეს ფარმაცევტი მარო ხუციშვილი; გერმანელთა აფთიაქიდან წამლების ფარულად გამოტანა და საბჭოთა პარტიზანებისათვის გაგზავნა დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. გერმანელებს კვალისათვის რომ მიეგნოთ, მარო ხუციშვილსა და მარო ხატიაშვილს დახვრტვა მოელოდა.

ბანაკში ხმები გაგრძელდა — ვიღაც ქართველი ემიგრანტი ჩამოვიდა და თანამემამულე ტყვეებს წაყვანა სურსო. თან ისიც გაიგეს, საბჭოთა ტყვეებს იგი დახმარებას პირდებოდა, მაგრამ აქედან გაიტყუებენ თუ არა, მტრის ჯარში ჩარიცხავნო.

— დაგვბოცონ, აქედან კი ფეხს არ მოვიცვლით! ჩვენი არმიის წინააღმდეგ არ წავალთ! — ასეთი იყო ქართველი ტყვეების ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

და აი, გამოიყვანეს მოედანზე ქართველი ტყვეები: გერმანელმა ოფიცერმა ქართველი ემიგრანტი მოიყვანა, თვითონ კი წავიდა. ემიგრანტმა ტყვეებს გამოკითხა გვარები, საიდან ხართო, ჰკითხა. შემდეგ განუცხადა — მინდა ქართველები წაგიყვანოთ საფრანგეთში და ამ გზით შემოვიღოთ და ავადმყოფობით სიკვდილს გადავარჩინოთ.

მოედანზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს მარო ხატიაშვილი მიუახლოვდა ემიგრანტს და უთხრა:

— ხომ უყურებ ჩემს დასახიჩრებულ სახეს, ხომ ხედავ ამ ნაწამებ ადამიანებს. ყველა მათგანს სურს პატიოსანი ადამიანის სახელით დაბრუნდეს საქართველოში, პირდაპირ გაუსწოროს თვალი თავის მახლობლებს. ამისათვის იტანენ ისინი მონობას, დამცირებას, შიმშილს, ავადმყოფობას, იხოცებიან, მაგრამ იციან — სამშობლოში იტყვიან: სიკვდილი არჩია მოვალეობის სახელსო. — დედაშვილურად გახსოვ თავი დაგვანებოთ, საბჭოთა არმიის წინააღმდეგ იარაღს არ ავიღებთ, ჩვენს ძმებსა და შვილებს ტყვეებს ვერ დავუშენთ. ძალით წაყვანილები შეომრად არ გამოგადგებიან, ტყუილად შეირცხვენთ თავს გერმანელებთან.

ემიგრანტმა თვალი გადაავლო დანარჩენ ტყვეებს, უსიტყვოდ გაბრუნდა და ბანაკიდან წავიდა. იგი ისევე მოულოდნელად გაქპრა, როგორც მოვიდა.

იატაკვეშელთა დახმარებით ქართველი საბჭოთა ტყვე ქალები სამუშაოდ გაგზავნეს შეპეტოვკის მეფრინველეობის კომბინატში. გერმანელი ოფიცრების სასაიდლოები აქედან ღებულობდნენ ქათმებს, იხვებს, ბატებს, კომბინატს თავი შეაფარეს სლავუტელი და შეპეტოვკელმა კომუნისტებმა. მათ აქ თანდათან ხელთ იგდეს ხელმძღვანელი თანამდებობები, დირექტორიდან დაწყებული, სამქროების უფროსებითა და ბუღალტრით დამთავრებული. გერმანელების თვალის ასახვევად კომბინატის დირექტორი და მისი ხელქვეითი, სიფრთხილის გულისთვის, საბჭოთა ტყვე ქალებს ვითომდა უხეშად ეპყრობოდნენ, ჩუმად კი ეხმარებოდნენ.

მარო ხატიაშვილმა მეფრინველეობის კომბინატში თავის გარშემო შემოიკრიბა მგზნებარე საბჭოთა პატრიოტები, მათ შორის ქართველი ქალები — ლიზა აბრამიშვილი, ბაბუღია ნაჭუბია, თინა ღვინიაშვილი, ვერა ნინიკლაშვილი... ვერასთან ერთად, მეფრინველეობის კომბინატში წიწილების მომვლელად მუშაობდა ახალგაზრდა შეპეტოვკელი გოგონა მარუსია ვაშინკო. ვერამ გაიგო, რომ ამ გოგონას ძმა პარტიზანებთან არის დაკავშირებული, მაგრამ გერმანელებისათვის თვალის ასახვევად შეპეტოვკის კრიმინალური პოლიციის უფროსად მუშაობსო.

ერთ დღეს, როცა გოგონები მარტონი დარჩნენ, ვერამ მეგობარს უთხრა — გავიგე, რომ შენ ძმას პარტიზანებთან ჰქონია კავშირი. აქედან გავიქცევი, ოღონდ პარტიზანებისაკენ გზა მაჩვენოსო; ვაშინკომ სასტიკი უარი უთხრა და ისიც დასძინა, ჩემს ძმას პარტიზანებთან არაფერი საერთო არა

აქვს, ყველაფერი ეს კორიამ.

სამი დღის შემდეგ ნინიკლაშვილი კომბინატის დირექტორის კაბინეტში დაიბარეს. კაბინეტის კარი რომ შედო, დირექტორის ნაცვლად შავ კოსტუმში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი დაინახა. იგი გამომცდელი თვალით დააკვირდა ვერას, ვინაობა ჰკითხა, სკამზე მიუთითა დაჩქიო.

— თქვენ ჩემი დისთვის გითქვამთ, თითქმის მე პარტიზანებთან ვარ დაკავშირებული. საიდან მოქორეთ, ვინ გითხრათ ეს ამბავი? ვერა გაფთხდა, ენა დაება.

— როგორ შეიძლება ასეთი დაუფიქრებელი ლაპარაკი? თქვენ იცით რა მოგელით გერმანიის იმპერიის მოხელის მიმართ ცილისწამებისათვის? მე შემძლია აქვე გაგანადგუროთ.

ტყვე ქალს ხმა ჩაუწყდა, კანკალებდა.

— ახალგაზრდა და უმეტარი ხართ. ახლა ჩემი დის ნათრით მიპატიებია. გაფრთხილდით, ყველასთან და ყველაფერზე ლაპარაკი არ შეიძლება. თავისუფალი ხართ!

ნინიკლაშვილი წამოდგა და ნელა გაემართა კარებისაკენ.

— მოიცადეთ! გაფრთხილდით, რაც აქ გაიგონეთ, ამაზე კრინტი არავისთან დაძრათ.

რა გზით მოულოდნელად საბჭოთა პატრიოტები იარაღს პარტიზანებისათვის გასაგზავნად? შეპეტოვკაში გერმანელებმა იარაღის შემკეთებელი სახელოსნოები გახსნეს. ფრონტიდან ვაგონებით მოზიდულ დაზინებულ იარაღს აქ არემონტებდნენ, აღდგენის შემდეგ საწყობს აბარებდნენ. ამ სახელოსნოებში მომუშავე გერმანელმა ჯარისკაცებმა, ქალაქში გასაძრავი რომ ვერაფერი იშოვნეს, იარაღით ვაჭრობა დაიწყეს. გაქონდათ ჩუმად შავ ბაზარზე და ჰყიდდნენ, ან არაყსა და პროდუქტებზე ცვლიდნენ. ჰყიდდნენ თოფებს, რევოლვერებს, ავტომატებს, ვაზნებს; გასაგებია, რომ ეს გაყიდული იარაღი, შეპეტოვკელ პატრიოტთა მშვენიერ, პარტიზანებს უფარდებოდათ ხელში.

პატრიოტთა ეს საქმიანობა გესტაპოს შემოწინეული არ დარჩენია. მეთვალყურეობა გააძლიერეს. მალე არალეგალური ორგანიზაციის აქტივისტებმა ბრძანება მიიღეს გაქცეულიყვნენ.

სულ მალე, თხოვრებთ პატრიოტი მარო ხატიაშვილის ხელმძღვანელობით გასაქცევად გაემზადა. მეთვალყურეობაში გასახველიც გააკეთეს. მაგრამ ბედმა უმუშეობა გასაქცევად გამოავლინა. ვიღაცამ გასცა ისინი და ტყვეებმა გესტაპოს ჯურღმულებში ამოყვეს თავი.

მარო ხატიაშვილი, როგორც არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, საშინელი წამების შემდეგ დახვრტეს. შეთქმულების დანარჩენი მონაწილეები ოხვენციმის, ბუნენვალდისა და სხვა სიკვდილის ბანაკებში გაგზავნეს. მათ შორის იყო ქართველი ექიმი შალვა ბარამიძე.

მარო ხატიაშვილის დაპატიმრებისთანავე, გესტაპოელებმა მისი შვილობილის — ვერა ნინიკლაშვილის ძებნა დაიწყეს. ეს ამბავი ტყვე ექთანმა მიხილ მიმინოვილმა გაიგო და ვერა გააფრთხილა. აქაურმა პატრიოტებმა ქალიშვილი ბარაკის სხვენზე დამალეს, შემდეგ ბანაკიდან შეპეტოვკაში ჩუმად წაიყვანეს. აქ იგი მეფრინველეობის მეურნეობის ბუღალტერ ვლადიმერ ტიმოშენკოს სახლში იმალებოდა. აქ გაიგო ნინიკლაშვილმა მარო ხატიაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი.

ერთხელ დამით, სახლში, სადაც ვერა იმალებოდა, მძალიე გამხდარი კაცი შემოვიდა. მასპინძლებმა მოსულნი სხარულით მიიღეს, გააცნეს ნინიკლაშვილს და უთხრეს, რომ იგი პარტიზანი გრიგოლ პისმენია. მოსულმა ვერას დაწვრილებით გამოაქიბა ფრონტზე და ტყვეობაში ყოფნის ამბავი. მეორე დღეს კი ქალიშვილმა პარტიზანული შტაბის პირველი საბრძოლო დავალება მიიღო. პარტიზანთა საფოსტო ყუთი მოწყობილი იყო მესხათის სახელოსნოში. იქ ღებულობდა ნინიკლაშვილი დავალებებს და იქვე აბარებდა შეკრებილ ცნობებს.

მალე ვერა ნინიკლაშვილი ყველაზე დახელოვ-

ნებული და გაბედული მკავშირე გახდა პარტიზანთა შორის. იგი ფრთხილად, მაგრამ გაბედულად მოქმედებდა, ქალაქში ხაჭირო ცნობებს აგროვებდა, თავს უყრიდა გერმანელთა საწყობებიდან მოპარულ და შესყიდულ საბრძოლო იარაღს და პარტიზანთა ბანაკში გზავნიდა, ავრცელებდა ანტიფაშისტურ ფურცლებსა და მოწოდებებს.

შეპეტოვკაში ვერას ყოფნის დროს პარტიზანები ორჯერ დაესხნენ თავს ქალაქს. მათი გზის მაჩვენებელი ყოველთვის ვერა ნინიკლაშვილი იყო. ერთხელ ვერას აცნობეს, რომ გესტაპოს აგენტები თვალს გადევნებენ და ქალაქში დარჩენა სასიყვეთაო. ქალიშვილი ჩუმად გაიპარა შეპეტოვკიდან და ტყეს შეაფარა თავი. იქ დაელოდა პარტიზანთა მკავშირეებს, რომლებმაც მამაცი ქალი პარტიზანთა ბანაკში მიიყვანეს.

ბანაკში მისულებს გულმოდგინედ ამოწმებდნენ. ვერაც გაგზავნეს დაწვრივის უფროსთან, შემოწმებულზე.

მიწურის კარებს ნელა მიუჯაკუნა: — შემოდით! — მოისმა მამაკაცის ხმა.

მიწურში ბნელოდა, ნინიკლაშვილმა კუთხეში ნარზე მამაკაცის სილუეტი გაარჩია.

— აქ შემოწმებულზე გამომგზავნეს, — უთხრა ვერამ დამხველურს.

დაწვრივის უფროსმა ელექტრონის ფარანი მიანათა ქალიშვილს სახეზე და უთხრა:

— თქვენ უკვე შემოწმებული ხართ, — როცა შემოსულის სახეზე აღბეჭდილი გაკვირვება შეინიშნა, უთხრა: ჩვენ ხომ ერთად ნაბრძოლი ძველი ნაცნობები ვართ.

ვერამ იცნო დაწვრივის უფროსი, ეს გრიგოლ პისმენი იყო, რომელმაც იგი პარტიზანებს დაუკავშირა.

ამ დღიდან ქართველმა ქალიშვილმა დაიწყო ხიფათით სავსე პარტიზანული ცხოვრება.

ვერა ნინიკლაშვილმა არა ერთ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა; ბიჭურად გადაცმული ხშირად მიდიოდა დაწვრივზე, რამდენიმეჯერ გააყვანა ამფეთქებელთა რაზმს, რომლებმაც ზრამში გადაჩენეს გერმანელთა სამხედრო საჭურვლით დატვირთული მატარებელი, გაანადგურეს მტრის ავტომანქანების კოლონა, ააფეთქეს რკინიგზის ხიდი. ერთ დღეს შტაბ გამოუძახეს ვერას.

— ბარაკალა შენს ქალოზას, მამაცი ადამიანი ყოფილხარ, მაგრამ შენ ახლა დუბრილებისათვის უფრო ხარ საჭირო, როგორც გამოცდილი ექთანია, — უთხრა მას პარტიზანთა რაზმის მეთაურმა, საბჭოთა კავშირის გმირმა მუშალიოვმა, — ამიტომ სლავუტის რაიონის სოფელ სტირიგანთან, ტყეში მოწყობილი რაზმის სამკურნალო ნაწილში უნდა წახვიდე. მოუარეთ დაჭრილ მებრძოლებს, სწრაფად დააყენეთ ფეხზე და მწყობარში ჩააყენეთ.

ვერა ნინიკლაშვილიც თავგამოდებით შეუდგა დაჭრილთა მკურნალობას. იგი ავადმყოფთა ნამდვილი დობილი და მზრუნველი იყო. სლავუტელი პარტიზანები ნინიკლაშვილს ახლაც უღრმესი მადლიერების გრძნობით იხსენებენ.

ფრონტის ხაზი თანდათან მიუახლოვდა სლავუტას. პიტლერელთა ფეხქვეშ მიწა იწვოდა.

და აი სლავუტა განთავისუფლებულია. პარტიზანებმა ბრძანება მიიღეს შეერთებოდნენ წითელ არმიას.

ვერა ნინიკლაშვილი კიევში უკრაინის პარტიზანული მოძრაობის შტაბის განკარგულებაში მიავლინეს. აქ იგი შეხვდა თავის ფრონტულ მეგობარს, 224-ე ქართული მსროლელი დივიზიის ექთანს ციალა ჭავახიას. ციალაც ტყვეობიდან გაიქცა და ნოვოგოროდ-ვოლინსკის ოლქში ალექსენკოს პარტიზანულ შენაერთში იბრძოდა მტრის წინააღმდეგ.

დამთავრდა ომი. ვერა ნინიკლაშვილი მშობლიურ საქართველოში დაბრუნდა. დამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ოჯახს მოეკიდა. ახლა იგი ვაჟის დედაა, აგრონომად მუშაობს ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

პასტაზნ სინარულიძე



მხარეებს
მცხეთა

მე უნდა ვნახო აპრილის მცხეთა,
ატმის უვავილით შემკული სვეტი,
მე უნდა ვნახო აპრილის მცხეთა
და არაფერი არ მინდა მეტი.

მე უნდა ვნახო აპრილის მცხეთა,
არაგვი, როგორც ცისფერი თრთოლვა,
მე უნდა ვნახო ასეთი მცხეთა,
არაგვი ლურჯი და მწვანე თოვლი;

არაგვი ლურჯი და თოვლი მწვანე,
როგორც სხივები ცისფერი წვიმის,
მერცხლები, სხვაგან რომ აღარ წავლენ,
და მზე, რომელიც მღერის და ტირის.

აღაზას კაბა ეცმევათ ხეებს
და იციმციმებს ცხოველი სვეტი.
მე საქართველოს გაფუჭვადი ხელებს
და არაფერი არ მინდა მეტი.



ქობის
ბაიროს

ეძინა ბეჩოს,
ეძინა ბეჩოს,
დაპრილი ჭიხვი მისდევდა ღრუბელს,
მინდვრის შროშანას,
ნაზსა და ბედშავს,
ცისფერი ცრემლი უცხებდა უბეს.


შორს, მურყვამების უცნაურ რწევას,
იმეორებდა ენგურის ტალღა,
ეძინა იმედს და ბედისწერას
და, ფათურობდა ღრუბელი მადლა.
და, ფათურობდა ღრუბელი მადლა...



მხარეებს
მცხეთა

მუდმივ გაზაფხულს ნატრობს როდენი,
და ქვაში ვნებებს ვეღარ აკავებს,
მე და შენ წავალთ? — სდუმან ლოდები,
და გადათვლილი წამი კანკალებს.

მომავლის გრაგნილს მზეში ვკითხულობ
და სინამდვილეს ფრთებით ვეხებები,
არა, არ წავალთ... მზეო გვიყურე,
ჩვენ ვართ მინდვრები, ზღვები, ვერხვები...



ხევის
სუფრის

ჩემი პატარა სიცხიანი წევს
და ღამეს ვუთევთ მე და მოთვარე,
მე რომ მაწყნარებს, მთვარემ არ იცის,
რადგან სხვა არის მისთვის მთავარი.

ჩემთვის მთავარი ჩემი შვილია
და მთავარია თბილად დავხურო,
მთვარის შუქზე წევს თეთრი გვირილა
და სიწმარეთში დევებს ნახულობს.

ღამის პატარა შუქი ანთია
და სიჩუმეში ვფიქრობ გაბმულად,
არ მეძნელება ღამის გათევა,
ჩემო პატარა, ჩემო ღაბუა!

ნახი ჭაღი



სუფრის
წვიმის უკვლევი

ტოტებს იბერტყუნ პალმები
და მზეზე რხევით შრებიან,
დასველებული მგზავრები
მზის სხივებს ეტანებიან.

მთებს მათი დინოზავრები —
ღრუბელი განშორებთან,
იქით ჭავრგანაქარვები
იები ფეხზე დგებიან,
აქით კი თეთრი ალვები
წულის სარკეს გადმოსცქერიან
და, ვით კეკლუცი ქალები,
მაღალ მთებს ენაზებიან.



ღრუბელის
ჩვენს გზას

ღრუბლის ჩვენ ფასი არ ვიცით რაა,
ამ ოქროს ხანის, თოვლის წლებამდე,
ისიც არ ვიცით, რა დიდი გზაა,
დავიწყებდნენ მოგონებამდე.


და მე დღეს ვხვდები, რომ მართლაც სხვაა
ეს ღრუბანდელი მშვიდი კვირადღე,
პირველად ვიგრძენ, რა მცირე გზაა
სიყვარულიდან, სიძულვილამდე!

ბელა მალაქვილი



მე მიყვარს
როცა

მე მიყვარს, როცა დაცქერენ საათს.
და მუდამ სადღაც მიეჩქარებათ,
ან სულაც რომ არ დაცქერენ საათს
და მაინც სადღაც მიეჩქარებათ.
დაე, იჩქარონ თუ ეჩქარებათ, —
წვიმამ მოუსწროთ, თუნდაც ქარებმა...
ასე მგონია, ვინც ცოცხალია,
ყოველთვის სადღაც მიეჩქარება.
მიეჩქარებათ მზრუნველ სახეებს,
თვალებს უძილოს და დაღლილ თვალებს.
თმებზეთეთრებულ, თმაგათეთრებულ
და შავთმებიან კაცებს და ქალებს.
მიეჩქარებათ დილაადრიან
მზრუნველ კაცებსაც, მზრუნველ ქალებსაც.
ასე ჩქარობენ მდინარეებიც,
ქარებსაც ასე მიეჩქარებათ.
რატომ ჩქარობენ მდინარეები,
ან ქარებს საით მიეჩქარებათ?..
აქვს კი მდინარეს რამ საზრუნავი,
რა ძალუძს ან ქარს, თუ არ ქარობა.
აღბათ, ეს არის სიცოცხლე დიდი —
ზრუნვა, სიჩქარე, რჩევა, ჩარევა...
ვიჩქაროთ. თორემ ამ ჩვენს დღეებსაც,
დღეებსაც სადღაც მიეჩქარებათ.



ტყიბულის რაიონის სოფელ ორპირის კოლმეურნეებმა ბოლო ორი წლის მანძილზე 48 კაპიტალური შენობა ააშენეს; ისინი ახლა განსაკუთრებული მონდობით შესდგომიან საკოლმეურნეობათა შორის საავადმყოფოს აგებას. ახალი საავადმყოფო ორსართულიანი იქნება, თანამედროვე პირველხარისხის სანატორიული ტექნიკით აღიჭურვება და ახლომახლო მდებარე რამდენიმე სოფელს გაუწევს მომსახურებას.



დღეიდან რუბენ ნოსელიძის ოჯახშიც აცემციმდება ცისფერი ეკრანი.

სოფელს წყალი აკლდა. ახლა ეს საქმეც მოგვარებულია. დამთავრდა საკუთრივ ფერდობიდან წყაროს გამოყვანა. შორს წასვლა პლარ არის საჭირო, ონკანი ეზოშია გამოყვანილი.

ოჯახი



მუსონ
ქართლი

ზუსტად უნდა



ფოტო მარხან არჩვაძისა.



კოლმეურნეობაში უკვე კარგა ხანია, რაც ხალხური სიმღერებისა და ქართული ხალხური ინსტრუმენტების წრე ჩამოაყალიბებს. წრის წევრები, კირილე ვაშაკიძის ხელმძღვანელობით, მონღომებით ემზადებიან კონცერტების მოსაწყობად.

მექანიზატორებიც პირნათლად შეხვდნენ გაზაფხულს. შოთა სამხარაძემ, ნოდარ ბასილაძემ და გივი ჩიტაძემ კარგა ხანია დაამთავრეს ტრაქტორების რემონტი



„ივერია“

დაბარსებულიან 90 წლისთავის გამოს

ილია ჭავჭავაძე არა მარტო მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატი იყო, არამედ ყველა დიდი ეროვნული საქმის წამომწყები და სულისჩამდგმელი. ამ დიდბუნებოვანი ადამიანის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ქართულ თეატრთან. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, ბანკთან, ყველა სასარგებლო საქმესთან, რაც კი, იმ ხანად ჩვენში გაკეთებულა. მაგრამ აშკარად გვინდა ვილაპარაკოთ მხოლოდ „ივერიაზე“, რომელიც ილია ჭავჭავაძემ დააარსა. გაზეთის პირველი ნომერი 1877 წლის 8 მარტს გამოვიდა.

„ივერიის“ პირველი ნომრის მოწინავე ილია წერდა: „სამეცნიერო ცნობათა გადმოტანა და გავრცელება საზოგადოებაში, ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრების დაკვირვება და განმარტება — აი რაში მდგომარეობს ჩვენი გაზეთის პროგრამა“. მართლაც, გაზეთში მრავალი სამეცნიერო ხასიათის წერილია დაბეჭდილი, საზღვარგარეთის ცხოვრების ამსახველი ბევრი ნარკვევია მოთავსებული; ამასთან, გაზეთის მთავარი ამოცანა ეროვნული სულისკვეთების აღზრდა-გადრწმუნება იყო. ამ მხრივ „ივერიის“ დამსახურება განუწოვლად დიდა; ჩვენი ხალხის მოქალაქეობრივი შეგნების დონის ამაღლებაში მან თვალსაჩინო როლი შეასრულა. თუმცა ცენზურა სასტიკად ავიწროებდა „ივერიის“ რედაქციას, მაგრამ გაზეთი მაინც ახერხებდა ყოფილიყო მაღალი ტრიბუნა მოწინავე განმათავისუფლებელი იდეებისა, სამწუროვ გამოეტანა მეფის რეჟიმის დანაშაულებრივი მოქმედებანი.

ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ დიდი ადგილი დაუთმო პროზას და პოეზიას. იგი ხალხის ზნეობრივ აღზრდაში, გათვითცნობიერების საქმეში უდიდეს როლს ანიჭებდა მხატვრულ ლიტერატურას, ხოლო გაზეთი მას მიაჩნდა ამ საქმეში ყველაზე ჭმედით საშუალებად. მან „ივერიის“ მესამე ნომერში დაბეჭდვა აღ. ჭავჭავაძის ორი ლექსი, ხოლო მეშვიდე ნომერში გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძე“ (ქსნისხვევლის ფსევდონიმით). ამავე ნომერში დაბეჭდა ალფონს დოდეს „მედროზე“. ორივე ნაწარმოებმა ცენზურა დააეჭვა. ეს ეჭვი თანდათანობით ღრმავდება და რედაქტორს მრავალი უსიამოვნება სვდება. მაგრამ ილია პოზიციას არ თმობს, სისტემატურად აქვეყნებს პატროტულ, მაღალი და მშვენიერი გრძნობების გამომხატველ ქმნილებებს და სამკედრო-სასიცოცხლოდ იბრძვის ნათელი მომავლისათვის.

„ივერიაში“ არა მარტო მოთხრობები და ლექსები იბეჭდებოდა, არამედ პიესებიც (დ. ერისთავის „სამშობლო“, რ. ერისთავის „ადვოკატები“, ა. ცაგარელის „მათიკო“ და სხვ.). ილია ჭავჭავაძე არა მარტო ხელს უწყობდა ქართული თეატრის რეპერტუარის გამდიდრების საქმეს, არამედ ორიგინალური დრამატურგიის შექმნასაც. ერთი სიტყვით, „ივერიაში“ ქართული კულტურის ყველა დარგში სრულიად ახალი პერიოდი შექმნა, პერიოდი რელიზმისა და ღრმა ხალხურობისა.

„ივერია“ იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დიდი პროპაგანდისტი. „ივერიის“ ფურცლებზე უღრმესი სიყვარულით და მაღლიერებით არის მოხსენებული პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის დიდებული სახელები, ყველა იმ ადამიანების სახელები, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისათვის. მხოლოდ პუშკინისთანა მწერლებს, — წერდა „ივერია“ — შეუძლიათ წმინდა და შურეყველი კავშირის, ძმობისა და სიყვარულის დამკვიდრება სხვადასხვა ერთა შორის. აღტაცებული ხელს ვუწვდით რუსეთის ერს და მასთან ერთად ვდალაღებთ: დიდება და უკვდავება პუშკინის სახელს („ივერია“, 1889 წ. № 109). გაზეთი მხარს უჭერდა როგორც რუსეთში, ისე ევროპაში ყოველ სახალხო მოძრაობას, ემბოურებოდა აღფრთოვანებით; „ივერიის“ ფურცლებზე თქვენ შეგიძლიათ ფართოდ გაეცნოთ რუსეთისა და საზღვარგარეთის იმდროინდელ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, კავკასიის სოციალ-ეკონომიურ ვითარებას, ჩვენი ხალხის მაშინდელ ყოფას. და, რაც მთავარია, ყველა ეს წერილები და მიმოხილვები უადრესად ობიექტურია, აღბეჭდილია დიდი სიმართლით და გამოირჩევიან მოვლენების ღრმა და საფუძვლიანი ანალიზით.

„ივერია“ უადრესად დიდი მოვლენა იყო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მაღლიერი ქართული ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმ ღვაწლს, რომელიც ამ გაზეთმა დასდო ჩვენი ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს.

ვლადიმერ ჯიბუჭი

აზიზ ნესინს, შეხანიშნავ თურქ მწერალს, დიდი სახელი აქვს მოხვე-
ჭილი თავის სამშობლოში და საკ-
მაოდ მოპულარულია უცხოეთის ქვე-
ყნებშიც. მისი მოთხრობები თარგმნი-
ლია ქართულ ენაზეც. კერძოდ,
„დროშის“ (№ 11, 1968 წ.) მკითხვე-
ლი იცნობს მის მოთხრობას „ბანკეტი
ქვების დადგმის გამო“, რომელიც
რომში გამართულ მსოფლიოს იუმო-
რისტ-ნოველისტთა კონკურსზე პირ-
ველი პრემია — ოქროს პრიზი დაიმ-
სახურა.

აზიზ ნესინი იმ წელიწადს ესტუმ-
რა საქართველოს, როცა ჩვენი ხალხი
ემზადებოდა რაც შეიძლება ფართოდ
გაცნო მსოფლიოსთვის ქვეყანა, რო-
მელმაც „ვეფხისტყაოსნის“ დამწერი
წარმოშვა. გვიანდაც, რომ უცხოე-
თიდან მოწვეულთ საკუთარი თვალთ
ენახათ რუსთაველის ეპოქიდან შემო-
რჩენილი ისტორიული ძეგლები და,
ამასთანავე, თანამედროვე საქართვე-
ლოს გასცნობდნენ.

აზიზ ნესინმა ოთხი დღე დაჰყო
თბილისში და აქედან თურქეთში და-
ბრუნებულმა, თავისი შთაბეჭდილება
ჩვენს ქვეყანაზე გამოთქვა ერთ პა-
ტარა ნარკვევში სათაურით: „მე რომ
ევროპაში ვიმოგზაურებ“.

ავტორი სიმპათიით იგონებს სა-
ქართველოს. ქართველ ხალხს უწო-
დებს ძალიან კეთილს, ტემპერამენ-
ტიანს და სტუმართმოყვარეს. ამ
მხრივ ისინი მხოლოდ თურქებს თუ
შეედრებიანო. ამასთანავე ამბობს,
რომ ქართველები ქეიფის დიდი მო-
ყვარულნი არიანო.

აზიზ ნესინი წერს:
„მე ხშირად მეკითხებიან, როგორი
არის საქართველო?“

— საქართველო დიდი, უმაღლესი
ჭერია! — ვპასუხობ მე. — საიდან
ვიცი? ახლავე მოგახსენებთ! ღვინო
ჩემთვის მაყინარია, მაგრამ საქარ-
თველოში რომ ჩახვად, შეუძლებელია
არ დალიო!“

შემდეგ ავტორი აღწერს ქართული
სუფრის „ტრადიციას“ და დასძენს:

„...აბა, კარგი ბიჭი ხარ და თქვი,
მეტის სმა არ შემიძლიაო. ჭიქა კი
ისე ღრმია, იძულებული ხარ თავი
ჭერისკენ ასწიო და ვიდრე ბოლომდე
დაცლიდე, ჭერის კარგად დათვლიე-
რებას მოასწერებ. თუ იმდენს მოახე-
რებ, რომ დაცლილი ქართული ჭი-
ქის ფსკერს ჩახედავ, აფერუმ შენს
ვაჟაცობას, ამის შემდეგ ჭერ შენი
თავი დაიწყებს ტრიალს, მერე კი
მთელი ქვეყნიერება დატრიალდება.
თამადა კი ისევ ავსებს ჭიქას, მაღლა
ასწებს და ამბობს: — „ჩვენებური
სუფრის წესი მოითხოვს, მანდილოს-
ნების სადღეგრძელო ბოლომდე იქ-
ნესო შეგმული!“ ხოლო თუ სუფრაზე
ქალი არ არის, მაშინ იტყვის: — „ეს
ჩვენს ოჯახებს გაუმარჯოსო!“ აწ კი
მშვიდობითი ჭიქას ღონივრად ჩასჭი-
დებს ხელს და თავს ისევ ჭერისკენ
ასწევ, რათა ჭიქის დაცლა მოახერ-
ხო. ცოტა ხანიც და თამადას კვლავ
ჭიქა უჭირავს ხელში: — „საქართვე-
ლო ტრადიციების ქვეყანაა და ოჯა-
ხის უფროსის სადღეგრძელოს ბო-
ლომდე სვამენ. ახლა დღეგრძელობა
ვუსუფრეთ მას, ვინც ეს ლამაზი სუ-

ფრა გაგვიშალა“. და ისევ ძველებუ-
რად, — ჭიქა ტუჩისკენ, ხოლო თავი
ჭერისკენ... თბილისში ოთხი დღე
დაჰყავი და ახლა რომ მეკითხებიან,
როგორი ქვეყანა არისო საქართვე-
ლო, უმაღლეს ვპასუხობ: საქართველო
დიდი, ძალიან დიდი, უმაღლესი ჭე-
რის ქვეყანაა. ასე იმითომ ვამბობ, რომ
იმ ოთხი დღის განმავლობაში მრავა-
ლი ჭერის დათვალიერება მომიხდა“...

აზიზ ნესინს დაკვირვებით, სა-
ქართველოში თუმცა ძალიან ბევრს
სვამენ, მაგრამ იმდენს არასოდეს,
რომ გონება დაკარგონ. სხვა ქვეყ-
ნებში მთვრალი კაცი თბილისში და
ტალახში ჩაწვება, ქართველის მთვრა-
ლობა კი იმაში გამოიხატება, რომ
სუფრაზე ჩამოეძინებაო.

საქართველო, — ამბობს ნესინი
თავის ნარკვევში, — მდიდარი ქვეყა-
ნაა. მიწა ფრად ნოყიერია, მთელი
ქვეყნიერების სიკეთე იქ არისო თავ-
მოყრილი. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს
რომ ქართველი კაცი შევა ტყეში, და-
ბკრფს ხილს, ბაზარში წაიდებს გა-
სასყიდად და ნავაჭრი ფულით მთელი
კვირის განმავლობაში ცხოვრობსო.

„ალბათ ასეთი სიმდიდრის გამოა,
რომ ქართველები ქეიფის მოყვარუ-
ლები არიანო!“ — დაასკვნის მწერა-
ლი.

აი, თურმე, რა იოლი ცხოვრება
გვქონია!

ქართველები, აზიზ ნესინის სიტყ-
ვით, კიდევაც ამაყობენ, იმით, რომ
არა მარტო თბილისში, რუსეთის
შუაგულშიც აქვთ თავიანთი რესტო-
რანი. ნარკვევის იმ ადგილს, რომლის
ქვესათაურია „ყოჩაღ იური“, მთლია-
ნად მოვყვან:


„ქალაქი მოსკოვი თავადმა იური
დოლოგორუკიმ დააარსა და ააშენა. ამი-
ტომ ქალაქის ცენტრში იური დოლო-
გორუკის ძეგლი დგას. ძეგლის პირ-
დაპირ კი გახსნილია ძალიან ცნობი-
ლი ქართული რესტორანი. ერთი ქარ-
თველი ამ რესტორანში შედის, სვამს...
სვამს... სვამს... მერე რესტორანიდან
გამოდის და ძეგლს რომ დაინახავს,
იკითხავს:

— ეს ვისი ძეგლია?
— მოსკოვის დამაარსებლის თავ-
ვად იური დოლოგორუკის ძეგლიაო, —
უპასუხებენ.

ქართველი იღიბება, ძეგლს შეათ-
ვალიერებს და ამბობს:

— ყოჩაღ, იური, რომ ქალაქი
ქართული რესტორნის გვერდით ააშე-
ნეო“.

აზიზ ნესინის თქმით, ქართველი
კაცი, კეთილი და მგრძობიარეა; ამ
მხრივ ბევრი რამ ნათესაური შეიმჩ-
ნევა ანატოლიელ თურქსა და ქარ-
თველს შორის. მერე კიდევ, ისევე რო-
გორც ანატოლიელი თურქი, ქარ-
თველი კაცი, თუ მას ღვინო აქვს,
წყალსა და ჩაის არ დადევს. ეს რომ
ასე ყოფილა, აზიზ ნესინისთვის უამ-
ბნია აზერბაიჯანის მწერალთა კავში-
რის მდივანს მირზა იბრაგიმოვის. ერ-
თი ძეგლის გახსნის დღესასწაულზე
მირზა იბრაგიმოვი თბილისში მოუწ-
ვევიათ. ბაქოდან წამოსვლისას იბრა-
გიმოვის ფიცი დაუდევს, ღვინოს არ
დავლევო. იბრაგიმოვი ჩაის დიდი
მოყვარული ყოფილა. დილით რომ



აზიზ ნესინს

მცირე შესავალით და განმარტებით

სარგო კლინიკილი

სასტუმროში გაუღვიძნია, ჩაი უნატ-
რია, მაგრამ ამის ნაცვლად ღვინო
დააღვიძნია ქართველმა მასპინძელმა.
შუადღისას მირზამ ისევ მოინატრა
ჩაი და შეწუხებული, საბარალო ხმით
ემუდარა მასპინძელს, ერთი ჭიქა ჩაი
მიმოვნეთო. მაგრამ ვერც ახლა შეის-
რულა სურვილი. სადილის წინ, მერე
საღამო ხანს, ბოლოს ვახშამზე იბრ-
გიმოვის ისევ მოუნდა ჩაი, სული ელე-
ვა, იხვეწება როგორმე ჭიქა ჩაი მა-
ღირსეთო, მაგრამ ამაოდ... აქედან
სიტყვა-სიტყვით ამოვწერ იმ სტრი-
ქონებს, სადაც აზიზ ნესინი მირზა
იბრაგიმოვის ტანჯვა-წვალებას გად-
მოგვცემს (ალბათ გავწვალბულის
მიერ ნაამბობს).

„შუალამე რომ დადგა, ყველა
აიშალა სუფრიდან. ქართველი მასპი-
ნძელი მირზას სასტუმროში მიაცი-
ლებს. აზერბაიჯანელი სტუმარი აქაც
მუდარით მიმართავს:

— რა მოხდა, ერთი ჭიქა ჩაი!
ქართველი ამჭრად ტურთან აღარ
მიიღებს ხელს, გაოცებული გაშლის
ხელებს, ხშირ წარბებს შეიკრავს და
ეუბნება:

— შენ, რაო, ჩაინანაში ჩამოხველ,
თუ საქართველოში?!”

აქ თავდება მირზა იბრაგიმოვის
თავდასაზავალი. აზიზ ნესინი კი დას-
ძენს: „აი ასეთი კარგი და ალალია
ქართველი კაცი. ამას რომ ვამბობ,
ისიც მინდა გაუწყლო, რომ საქარ-
თველოს მსოფლიოში მესამე ადგილი
უჭირავს ჩაის მოყვანაში, მაგრამ ქარ-
თველებისა არ იყოს, როცა ღვინო
გაქვს, ვანა ჩაის დალევ?“

ქართველები ჭამის დიდი მოყვა-
რულნიც ყოფილანო. ე. წ. „ერევნის
რადიო“ მეშვეობით გავრცელებული
ანგელოტი ალანტურებს ამას, წერს
აზიზ ნესინი და კიდევაც მოჰყავს ეს
ანგელოტი. მაგრამ ის იმდენად ტლა-
ნქია, რომ გამეორებდა არ ღირს.

ამით ამთავრებს აზიზ ნესინი თავის
ნარკვევს საქართველოზე. შეიძლე-
ბოდა ჩვენც დავუმოყვებოდათ თუ
ერთი ნარკვევის მოკლე შინაარსის გა-

დმოცემით, რადგან ჩვენი მკითხვე-
ლისთვის, ალბათ, უკვე ყველაფერი
ნათელია და რაიმე განმარტება საჭი-
რო აღარ არის. მაგრამ თვითონ აზიზ
ნესინისთვის რომ ყველაფერი გასა-
გები გახდეს, იქნებ საჭირო იქნეს
მოკლედ მაინც გავგაზაუბრო:

ძვირფასო კოლეგა აზიზ ნესინი ერ-
თი წუთითაც არ იფიქროთ, თითქოს
რაიმეს გისაყვედურებდეთ იმ თქვენი
ნარკვევის გამო. და თუ ოდნავ მაინც
გაივლოთ ასეთი რამ გულში, გარ-
წმუნებთ — ეს საყვედური თქვენ არ
გებნათ. მე კარგად ვგრძნობ, რომ
თქვენ გულწრფელად განწყობილი
ხართ ქართველი ხალხისადმი. მრავ-
ალჭერ ქებით აკილდოებთ ქართვე-
ლი კაცის კეთილშობილ მხარეებს და
სიყვარულსაც ამუღვენებთ, როცა ქა-
რთველისა და ანატოლიელის ნათე-
საურ თვისებებზე ლაპარაკობთ.

ცხადია, თქვენ იმ მიზნით ჩამოხვე-
დით საქართველოში, რომ მისი ხალ-
ხის ცხოვრებისა და ხასიათის გაცნო-
ბა გინდოდათ. მაგრამ როგორ გაგა-
ცვენს ის აქაურმა მასპინძლებმა, რა
გაჩვენეს, რა გაამბეს, რით მოიწონეს
თავი პატოსაცემ უცხოელი სტუმრის
წინაშე? სამწუხაროდ, ძალიან უძუნ-
წიათ ამ მხრივ. როგორც თქვენი ნა-
რკვევიდან ჩანს, მხოლოდ სუფრის
წესებით გაკვირვებდნენ და იძუ-
ლებულს გხდიდნენ სულ ჭერისთვის
გეტყვიანო. საერთოდ, ადამიანი ცდი-
ლობს თავისი თავი და თავისი ოჯახი
კარგი მხრით წარმოუდგინოს და გაა-
ცნოს მასთან სტუმრად მისულს. რო-
დესაც მასპინძელი ძალიან იქებს თავის
თავს, შეიძლება დაეჭვდეთ და იფი-
ქრო ტრაბახობსო, მაგრამ როცა
გეტყვის, რომ ღვინოს სმის ოსტატი
ვარო, როცა ამით თავმოწონებობს
და ამასთანავე ოთხი დღის განმავლო-
ბაში გაიძულეთ მარტო ჭერს უც-
ქიროთ, ძალაუნებურად უნდა დაუ-
ჭიროთ და იფიქროთ, რომ სიმართ-
ლეს ამბობს თავის თავზე და ამაზე
უფრო თავმოწონი არაფერი გააჩ-
ნია.

სიკვდილი ცოტას ეყოცის

ნათ, ასე ტრაბახობდა ლუარსაბ თათ-
ქარიძე, რომელსაც ჩვენმა დიდმა
კლასიკოსმა ილია ჭავჭავაძემ თავის
ბრწყინვალე რომანში „კაცია-და-
მიანში“ დაუნდობლად დასცინა.
ლუარსაბი აქ იმიტომ გავისენენ,
რომ ის, ცოტა არ იყოს, თქვენს
თბილისელ მასპინძლებს მაგონებს.
ეურნალის ფურცლები საშუალებას
არ იძლევა, თორემ თქვენს გასაცნო-
ბად გრძობად ამოვწერიდი იმ ადგილს
ჭავჭავაძის რომანიდან, სადაც თათ-
ქარიძე თავს იმით იქებს, რომ ბევრი
ღვინის სმა შეუძლია, ტრაბახობს თუ
როგორ აჯობა „დადიანის პოვერნიას,
ფიციან იმერელს“ და, გახარებული,
ქუდს ტერში როგორ აისვრის.

რაც გამბებს, რაც გიჩვენებს, თქვენც
ის დაწერეთ.

პირველი შემთხვევა არაა, როცა
უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმარს
თქვენი მასპინძლის მსგავსი უწევს
ჩიჩქარობას. ძალიან ხშირად, ასეთი
ჩიჩქარონე უცხოელს უმთავრესად
იმით აწონებს თავის ქვეყანას, რომ
უპირველეს ყოვლისა, ქართული სუ-
ფრის ადათს უქებს და ღვინოს აძა-
ლებს. დარწმუნებული ვარ, არავითარ
ც უფრო განჯრახვა არა აქვს ამგვარ
მასპინძელს. პირიქით, ის გულითა-
დად ხვდება სტუმარს, ცდილობს რაც
შეიძლება მეტი პატივი სცეს და კე-
თილად წარმოუდგინოს თავისი ქვე-
ყანა. არ იფიქროთ, რომ ღვინის და-
ღვინის წინააღმდეგი ვიყო, თვითონ
მეც სიამოვნებით გვახლებით ხოლმე,
მაგრამ განა ისე მოკარბებულად უნ-
და ვიქოთ თავი სუფრითა და ღვი-
ნის სმით, რომ სტუმრის მთელი ყუ-
რადღება აქეთკენ წარვმართოთ და
ამ შთაბეჭდილებით დამძიმებული
გავისტუმროთ უყანვე თავის სამშო-
ბლოში? ქართველ კაცს განა სხვა
არაფერი მოეძებნება თავმსაწონი?
რალა მართო სუფრა და ღვინის სმა,
სხვა რაიმე ღირსება ვერ გაიხსენა
თავისი ქვეყნისა? მაგალითად, არ
უქია იმით თავი, რომ საქართველო-
ში დიდი ხანია არც ერთი კაცი არ
მოიპოვებდა წერა-კითხვის უცოდინარი,
რომ ჩვენში მრავალი უმაღლესი სას-
წავლებელია და რომ არა ერთ ქარ-
თველ მეცნიერს მსოფლიო სახელი
აქვს მოხვეჭილი ფიზიოლოგიის, მე-
დიცინის, ფიზიკის, მათემატიკის, ბი-
ოლოგიის, ფილოსოფიის, ლინგვის-
ტიკის და სხვა დარგებში? არ უთ-
ქვამს, რომ რუსთაველის სამშობლო
როგორც ძველად, ისე დღეს დიდი
კულტურის ქვეყანაა? არ გაჩვენათ
ჩვენი უნიკალური არქიტექტურული
ძეგლები: ვარძია — რვასართულიანი
ქალაქი კლდეში, უფლისციხე, თმოგ-
ვი, მცხეთა, ჭვარი, გელათი, ალავერ-
დი და სხვა მრავალი? არ გახსენებ-
თა, რომ სახელგანთქმულ ბენვენუ-
ტო ჩელინიჩე ბევრად უფრო ადრე
გვყავდნენ ბეჭა და ბეჭქენ ოპიზარები,
რომელთა გენიალურ ქმნილებებს გა-
ნცვივრებაში მოჰყავს ყველა განთ-
ლებული უცხოელი და რომ დღესაც
გვყავს მთელი პლეადა ჰედური ხე-
ლოვნებით გატაცებული ახალგაზრ-
დებისა, რომელთა მაღალმა ოსტა-
ტობამ მრავალი ქვეყნის ქება დაიმ-
სახსტრა? ერთი სიტყვაც არ დასცდე-
ნათ თანამედროვე მხეწებლებზე,

მწერლობაზე, მხატვრობაზე, მუსიკა-
ზე?
ძვირფასო აზრს ნების, მართლაც
და, აბა რა სხვა შინაარსის ნარკვევი
უნდა დაგწერათ, თუ „მაღალი ჰე-
რის“ გარდა არაფერი გაჩვენებს და
მხოლოდ სუფრისა და ღვინის სმის
წესებზე გაიმბობდნენი ანდა, აბა,
როგორ ეღირსებოდა ჰიქა ჩაის თქვე-
ნი და ჩვენი მეგობარი მირზა იბრა-
გიშვიდი, როცა საქართველოში, თურ-
მე, არ უყვართ და არ სვამენ ჩაისს
ეს რომ ასე ყოფილა, ამას ხომ ერთი
ჩვენზე უფროსი გავმცნოვს. მასში
დაბეჭდილია წერილი „ჩვენი რესპუ-
ბლიკის ძველი“, სადაც ვკითხუ-
ლობთ:
„ამას წინათ მოსკოვში, საქართვე-
ლოში ნამყოფმა ერთმა მეგობარმა,
ჩაის რომ ვსვამდით, მითხრა:

— ჩვენთან, რუსეთში დამსახურე-
ბულად აქებენ ქართულ ჩაისს. სი-
ამოვნებობი სვამენ, უყვართ. თქვენში?
ამ სიტყვებმა იძულებული გამსა-
დეს ჩავფიქრებულეყავ. და მე, მეტი
ძალა არ იყო, გამოვტყდი, რომ ჩვენ-
ში, ჩაის რესპუბლიკაში, მართლაც,
არც თუ დიდად გატაცებულნი არიან
ჩაის სმით...“

და შემდეგ: „რა დასამალია, რომ
მრავალი ქართული ოჯახი ჩაის უც-
ქერის, როგორც „არასერიოზულ“
სასმელს, ახლად აქვთ ადგებული“
(„ლიტერატურა“ გრუზია“, 1985 წ.
№ 2, გვ. 79-80).

შეიძლება ვიფიქროთ — ამ სტა-
ტიის დამწერს არ სცოდნია, რომ თი-
თქმის არ მოიძებნება ჩვენს სოფლე-
ბში და ქალაქებში ისეთი ვინმე, ვინც
დღლას და საღამოს ჩაის არ სვამდეს.
აბა, და, როცა დილით სამუშაოზე
მივშურება კაცი, ღვინით იჭყობება?
იქნებ მართლა ასეა და მე არ ვიცი?!

არა, მირზა იბრაგიშვიდსაც გულუბ-
რველიად უხუმრნია, თორემ თბილი-
სის სასტუმროში ყოველთვის შეეძ-
ლო თავისი სურვილი დაემყარო-
ლებია. ამისათვის საჭირო იყო მხო-
ლოდ ერთი რამ: იმავე სატულზე,
სადაც ცხოვრობდა, სპეციალური სა-
ჩაიე არის გახსნილი, შესულიყო შიგ
და ერთი კი არა, თუნდაც ათი ჰიქა
ჩაი დაეშალა!

მგონი გამიგარქმელდა სიტყვა. მოყ-
ლედ მოვტყრი. რა თქმა უნდა, არავი-
თარი ცუდი განჯრახვა არ ამოქმედ-
ბდა თქვენს მასპინძელს, როცა ოთ-
ხი ღვინი განმავლობაში იძულებულს
გხდიდათ სულ „მაღალი ჰერისთვის“
გეცქირათ. ცოცხალი გამოტეხილი
სქობს, ვიცით ხოლმე ასე, ხშირად
ამით ვიჭებთ თავს.

თქვენი ნაწერების მიხედვით ისე-
თი წარმოადგინა მაქვს თქვენზე, რომ
ძალიან განათლებული, სიმაართისა-
თვის მებრძოლი, ცხოვრებაში ჩახე-
დული და, ამასთანავე, კეთილი ადა-
მიანი ხართ; ამიტომ, დარწმუნებულ-
ად ვარ, ნამდვილი საქართველო რომ
გენახათ, მაშინ თქვენი ნარკვევი
სხვანაირი იქნებოდა.

სტუმარი ღვთის არისო, ამბობენ
ჩვენში. ალბათ, თქვენშიც. კიდევ
ჩამოღობი საქართველოში, ძვირფასო
აზრს ნებისა, „მაღალი ჰერიც“ ნახეთ,
მაგრამ ამასთანავე ნამდვილი, რეა-
ლური საქართველოც!

1966 წ. 15 დეკემბერი.

მეორე მსოფლიო ომის ჯარისკაცმა, ცნობილმა ფრანგმა მწერალმა არმან ლა-
ნუმ ასეთი ეპიგრაფი წაუშმდგარა თავის ახალ რომანს „როცა ზღვა უკან იხევს“:
„მე არ ვიცოდი, რომ მათთვის, ვინც იბრძოდა, ომი არასოდეს არ თავდება“.
ძნელია დაეთანხმოს კაცი ამ ეპიგრაფის აზრს. მაგრამ ერთი კი უნდა ითქვას:
იმ მწერლისათვის, ვინც ომის მძიმე გზებზე იარა, ვინც ჯარისკაცებთან ერთად
იწვინა დიდი გამოცდა და ამიანის სულია — მას ეს თემა არასოდეს არ მოასვე-
ნებს, მის ფიქრს, მის ფანტაზიას ეს სახეები არასოდეს მოშორდება, მისთვის
ეს თემა ამოუწურავი და მუდამ ახალი იქნება. ვინაიდან ეს არის თემა ხალხის
სულზე, სიმაართის გამარჯვებაზე, იმაზე, თუ როგორ სძლია ნათელი ბნელს.
მისთვის ეს არასოდეს არ იქცევა მშრალ და მოსაწყვეთ ისტორიად.

ოცზე მეტი წელი გავიდა ომის დამთავრების დღიდან და მსოფლიოს საუ-
კეთესო მწერლები კვლავ ამ თემას ეჭიდებიან. მკითხველი მოითხოვს და მოე-
ლის ამ წიგნებს.

ამით ახსნება ის ღრმა ინტერესი, რომელიც გამოიწვია კონსტანტინე ლორ-
თქიფანიძის ახალმა წიგნმა „სიკვდილი ცოტას ეყოცის“.

* * *

ცხრას ორმოცდარე წელი. ზამთარი. თბილისის სადგური. მეგობრება
ფრონტზე აცილებენ კონსტანტინე ლორთქიფანიძის. მწერლის მიუღლის, მერის
გარდა, აქ არიან ილია მოსაშვილი და კოლია შენგელაია. სადგურში აურბებელი
ხალხი ირევა, დარბაზში ტევა არ არის. ეთხოვებიან ფრონტზე მიზალებს, ტი-
რინ. იცინიან. ავირ ერთმა ჭაღარა ხალხმა ახალგაზრდა ჯარისკაცს, ეტ-
ყობოდა, შვილს, მხარზე გადაკიდებული ჩანთა გაუხსნა და შიგ მატყლის წინ-
დები ჩაუწყო.

ამის დანახვაზე მერმ შეიცხადა, ღმერთო მომკალი, იმ ფაციფუსში თბილი
წინდების ყიფვა დამავიწყდაო.
კოლია შენგელაიამ ეს რომ გაიგონა, ბევრი აღარ უფიქრია — იქვე, ვილა-
ციის ჩემოდანზე ჩამოქდა და თვალის დახამხამებაში ორივე ჩექმა გაიძრო, მატყ-
ლის ქრელი წინდები გაიხადა და კონსტანტინეს ხელში მიაჩინა.
— აბა, ბიჭო, ჩიცივი. არ გაცივდე და ავად არ გახდე, თორემ დავიღუბებოთ,
პიტლერს ვეღარ ვაჯობებოთ, — სიცილით უთხრა მან, მერე ჭიბიდან გაზეით
ამოღო, ფეხებზე მოიხვიდა და ჩექმები ჩაიცვა.

ის იყო ეშელონიც ფრონტის გზას გაუდგა. ერთად წავიდნენ ომში მწერა-
ლიც და მისი წიგნების გმირებიც, მართო მისი კი არა, საქართველოს გმირები.
აი ასე, ამ გაცილებით, ხუმრობით, ამ ნაღვლიანი დამშვიდობებით დაიწყო
ახალი საფეხური მწერლის ბიოგრაფიაშიც და მის შემოქმედებაშიც. წინ გრძე-
ლი და სუსხიანი გზა იყო, სადაც მართო სოფლებსა თუ ქალაქებს, მინდვრე-
ბისა თუ მთების სახელები თავისთავად მეტყველებენ — ქერჩი და აკონია, სი-
მფეროპოლი და ბაღისარაი, სევასტოპოლი და საბუნ-გორა, ინკერმანი და მე-
კენის მთები, „ცისფერი ხაზი“ და ბაქსანის ხეობა, გირლიანის მთა და კიდევ
ვინ მოსთვლია! ყველაფერი ახლა ეს მშვიდი, წყნარი მიდამოებია, სავესე უაბრი-
კებო, ქარხნებით, ფერებით, ყანებით. მაშინ კი აქ მოდიოდა ციციხის წვიმა,
იულიტებოდა ხალხი, წყალი რა არის, წყალი აღარ დაიღოდა, ჰეები სავსე იყო
ესესელთა მიერ დახოცილი ადამიანის გვამებით, გზები გაქვდილი იყო პოლკე-
ბით და ბატალიონებით.

ქართველმა ხალხმა ნახევარი მილიონი ჯარისკაცი გაისტუმრა ფრონტზე. ამ
მომართა მნიშვნელოვანი ნაწილი აქ იბრძოდა. ზემოთ ნახსენებ ადგილებში,
იბრძოდა თავგანწირულად, მამაცურად, სძლედა ათასგვარი ჯოჯოხეთურ და-
ბრკოლებას, რათა მტრისათვის წინ წამოწევის საშუალება არ მიეცა, დაეცვა და
გადაერჩინა საბჭოთა სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ვეთხულობთ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალ წიგნს „სიკვდილი ცო-
ტას ეყოცის“, და ჩვენ კვლავ იმ წლებში და იმ მიდამოებში გადავივარდით.
მწერალმა მანამდეც არა ერთი ნაწარმოები მიუძღვნა ომის თემას. მკითხველი
კარგად იცნობს ლორთქიფანიძის მოთხრობებს — „მწვანე დილას“, „ცაბუნისა“,
„ცისფერ დუნას“ და სხვებს — ესაა სწორედ ის, რასაც ჩვენ ქართულ საბ-
ჭოთა კლასიკას ვეძახით და რაც დარჩება მომავლისათვის, როგორც უტყუარი
ფურცლები ჩვენი მდებარე დროის მატყლისა, მლაღვებელი ქართველი კა-
ციის სიმამაცეზე, შემმართებლობაზე, სულის სიდაღვზე.

თავის ახალ წიგნში შეტანილი ნაწარმოებებისათვის ავტორს უტყუარი მო-
თხრობები უწოდებია; გვარები არ შემეცვლიაო, ვაუწყებთ იგი; მაგრამ ეს მარ-
ტობი, აქ ჩვენს წინაშეა ტრაგიაშითა და დრამატიკაშით აღსავსე სურათები,
რომლებიც ძლიერად შესძრავენ ადამიანის სულს. ეს წიგნი, თამაზად შეიძლება
თქვას, არის ახალი წიგნი თვითონ მწერლისათვის; საერთოდ, ნამდვილი კარ-
გი და დიდი ოსტატი სიტყვისა არასოდეს არ ექცევა თავისივე ადრე შექმნილი
და ჩამოქრული სახეების ტყვეობაში, მისთვის ცხოვრება მუდამ ახალია, გა-
ნმეორებელი, ის წვდება ადამიანის სულის ახალ სიღრმეებს. კონსტანტინე
ლორთქიფანიძის მოთხრობები „მამია ჭაიანი“, „ერთი დამის საუკუნე“, „მისის
დილა“, „სიკვდილი ცოტას ეყოცის“, „მწვანე ფესვი“ — ამის ახალი და ნა-
თელი დასასტურებაა. თუშედაც მართო გური არღამელოთა ამბავი გაიხსენა,
შემდეგ, „არამკითხე მამობლი“ იონა მებუქე, მამაცი მემობარი ჭაიანი და მისი
სულიერი ტრაგედია; აქ ყველაფერ ნამდვილი ჰუმანიზმის შუქი დგას, აქ ყველ-
გან ადამიანურობის დიდი ბრძოლაა ბნელთან, ბოროტთან, უსამართლობასთან,
ესაა ბრძოლა ქვეყნის სიკეთისა და სიმაართის დამკვიდრებისათვის.

ამ პატარა წერილში ძნელია ამ წიგნის სრული მიმოხილვა, ჩვენ მხოლოდ
მისი საერთო ტენდენცია გვინდოდა გვეჩვენებინა და აღგვეჩინა, რომ ეს წიგნი,
როგორც ახალი წარმატება მწერლისა, მნიშვნელოვნად აფარბობს ჩვენს ლი-
ტერატურის ბოროტობას.

გიორგი ნატროშვილი



საქართველო

ისტორიულ-იქონოგრაფიული ქიზანი

1. ისპაჰანი

XVII — XVIII საუკუნეების საქართველოს მატარებელში ხშირად მოხსენიებული სეფევიდების იმპერიის სატახტო ქალაქი ისპაჰანი. მანამდე ირანის ცენტრად ითვლებოდა ქ. ყაზვინი. ისპაჰანი თავის სატახტოდ აქცია შაჰ აბას პირველმა, 1598 წელს.

ამ ქალაქში ჩადიდნენ ქართველი ქრისტიანი მეფეები, რომლებიც გამამადიანებული უბრუნდებოდნენ სამშობლოს, ქართლის ან კახეთის ტახტის დასაკავებლად. თუ რომელიმე მათგანი გაჯიუტდებოდა, შაჰის არჩევანი სხვა ბატონიშვილზე შეჩერდებოდა. ზოგი ამათგანი თვით ისპაჰანში იყო დაბადებული და აღზრდილი. ასე, ისპაჰანიდან მოვიდა ქართლში პირველი გამამადიანებული მეფე როსტომი (1684—1688). ისპაჰანში გამამადიანდა ვახტანგ V მუხრან ბატონი, შაჰნავაზად წოდებული (1658—1675), რომელიც როსტომმა იშვილა. იქვე გამამადიანდნენ ერეკლე I (მეფობდა ქართლში 1688—1703), გიორგი XI, მისი ძმისწული ვახტანგ VI, ამის მამა ლევანი და სხვ. კახეთს კი მართავდნენ ისპაჰანში დაბადებული და აღზრდილი, თავიდანვე მუსლიმანი ქართველნი, ერეკლე I-ის ძენი — დავით II (იმამყულიხანი, 1708—1722) და მისი ძმა კონსტანტინე კახთბატონი (მამადყულიხანი, 1722—1788).

ბევრი მათგანი, რასაკვირველია, ნომინალური გამამადიანი იყო. მხოლოდ გიორგი მე-XI (მართავდა ქართლს 1676—1688 და 1691—1695 წწ.) არ დაბრუნებულა ისპაჰანიდან. ირანის სატახტო ქალაქში ის ჩავიდა 1697 წლის 5 მარტს და წარუდგა შაჰ სულთან-შუსეინს, რომელმაც იგი თავისთან დაიტოვა. როცა გიორგი XI-ემ დაიმსახურა შაჰის ნდობა და მას დიდი სამსახური გაუწია („დაუწყნარა“ მეამბოხე ტომები — ბელუჯნი და ავღანნი), ყუენმა ქართლის ტახტი „დაუბრუნა“, მაგრამ შინაც ყანდაარის ბეგლარბეგად დასტოვა, სამაგიეროდ გიორგის თხოვნით მან ქართლ-კახეთის ტახტი ჩამოართვა ერეკლე I ნაზარალიხანს და ამის ნაცვლად გიორგის ძმის, ლევანის ძე ვახტანგი დანიშნა მეფის ე. ი. თავის მოადგილედ (ანუ „ჯანიშინად“) 1708 წ. ქართლში.

საერთოდ, ისპაჰანში წყდებოდა ორი საუკუნის მანძილზე საქართველოს პოლიტიკური ბედ-ოხდობი. ეს ქალაქი 1722 წელს აღეს ავღანელებმა, რითაც საერთოდ დასრულდა სეფევიდების იმპერიის ისტორიაც (შაჰ-სულთან-შუსეინის მეფობაში).

ისპაჰანი დაწვრილებით აქვს აღწერილი გერმანელ მეცნიერ-მოგზაურ ადამ ოლერიუსს¹, ფრანგ შარდენს², პოლანდიელ სტრეისს³, შოტლანდიელ ჯონ ბელის⁴, პოლონელ თ. კრუსინსკის, ინგლისელ ჰანვიის და სხვ. ბევრი მათგანის წიგნებში მოთავსებულია ქალაქის ზოგადი ხედის სურათებიც. ისინი საქმად ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ ავიჩინეთ ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი, XIX საუკუნის 20-იანი წლების მოგზაურის პორტერის წიგნი — „მოგზაურობა საქართველოში, სპარსეთსა და ძველს ბაბილონიაში“ (ლონდონი, 1821—1822) — მოთავსებული სურათი ისპაჰანის ცენტრისა, რადგან იქ უფრო რეალიზურადაა გამოხატული ადგილები, რომლებიც უფრო ადრინდელი აღწერებიდან კარგად ცნობილია და რომელთა ნაწილი ამჟამად დანგრეულია.⁵

სურათს ინგლისურ ენაზე წარწერილი აქვს: „ისპაჰანი ალა-ყაფის კარებიდან, დიდი მაიდანთან დასახული“ („ალა-ყაფი“ ნიშნავს „სადგომო კარებს“).

მკითხველი სურათზე ხედავს ქალაქის შუაგულს, რომელიც ნაწილობრივ გადაურჩა ავღანელთა შემოსევას 1722 წელს. მაიდანის ოთხკუთხედს შეადგენს მის ორ მხარეს მოთავსებული იყო მალაზიები, ყავახანები და ა. შ. მეფის სასახლე და პალატები მაიდანის დასავლეთ მხარეს იყო აგებული⁷. სასახლის უკან მოჩანს განთქმული ისპაჰანის მიწვივით გუმბათი და მინარეთები. იგი მაიდანის ოდნავ სამხრეთით დგას.⁸

ისპაჰანი განთქმული იყო თავისი ბაზრით, დასურული ქარვასლით, ბადებითა და ბასიენებით.

ისპაჰანი სეფევიდების დროს (მაგ. XVII საუკ. დასაწყისს) 600.000 მცხოვრებს ითვლიდა. ეს გრანდიოზული ქალაქი დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა ხედიანთა უკანასკნელი შაჰის, სულთან შუსეინის დროსაც, თუმცა მთელი იმპერია შინაგანად გამოხრული და გამოფიტული იყო და თავის აღსასრულს უახლოვდებოდა. იმპერიის საბოლოო დამხობაში კი სათანადო როლი ითამაშა ვახტანგ VI-ემ. ამიტომ იყო, რომ ავღანელებს არ გასჭირვებიათ მისი აღება 1722 წელს (სხვათა შორის, ქალაქის მისადგომებთან დაიღუპა ვახტანგ VI-ის ძმა როსტომ ყულარახანი).

ამრიგად, მკითხველი ხედავს პანორამას იმ ქალაქის ცენტრისა, სადაც ნებასურვილის მიუხედავად, რჭულზე ხელს აღვინებდნენ ქართველ მეფეებს, სათანადო ინვენსტიურების მიღების შემდეგ საქართველოში დასაბრუნებლად. ბევრმა ქართველმა პროვოლიტმა კი ამ ქალაქში დალია სული (მაგ. ერეკლე I ნაზარალიხანმა და სხვ.).

შ ე ნ ი შ ვ ე მ ბ ი

1. Подробное описание путешествия голыштинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 годах. Составленное секретаром посольства Адамом Олеарием. Пер. П. Барсова. М., 1870. (მაიდანის აღწერა. იხ. გვ. 725—726). თარგმანი ილუსტრაციები არაა. ოლერიუსის (1600—1671) წიგნის (ორიგინალის) სრული სათაურისა და ავტორის ბიოგრაფიის იხ. М. Полиевктов. Европ. путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу. Тб., 1935. стр. 150—155.

2. შარდენის (1643—1713) „მოგზაურობისა“ და ავტორის ბიოგრაფიის იხ. М. Полиевктов, op. cit., 90—95. შარდენის მრავალტომიანი წიგნის სრული ქართული ან რუსული თარგმანები არ არსებობს. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ შარდენს „მოგზაურობაში“ დაბეჭდილი აქვს სურათები „ისპაჰანის გარეუბნების ცისფერი კოშკებისა“, რომლებიც ამჟამად არ არსებობენ.

3. იხ. Я. Я. Стрейс. Три путешествия... [в 1673 г.]. Соцгиз, 1936 (ისპაჰანის აღწერა გვ. 307—314. სურათი ქალაქისა—312 გვ. შემდეგ). სტრეისის (?—გარდ. 1694 წ.) წიგნის (ორიგინალის) სათაურისა და ავტორის შესახ. იხ. Полиевктов, op. cit., 177—179.

4. Белевы путешествие... 87—115 (ბელის (John Bell) შეს. დიწვრ. იხ. ჩვენს ნარკვევში ჟან რიშარზე.

5. Robert Ker-Porter. Travels in Georgia, Persia, ancient Babilonia... London, 1821—1822. პორტერის მეორე ისპაჰანის აღწერა ჩამორჩება ოლერიუსის, შარდენისა და პ. ბედიკის აღწერებს. აქ არ ჩამოვთვლით იმ ავტორებს (ტავერნიე, ოლივიე, ბიკო, დუმანსა, XIX ს. ავტორები და მრ. სხვ.), რომლებიც ისპაჰანს აღწერენ, რადგან ჩვენ მხოლოდ პორტერის პანორამასთან დაკავშირებით ვგებთ სეფიანთა დედაქალაქს, უმოავრესად მის ცენტრს.

6. საერთოდ ისპაჰანი შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლებით იყო დამუშავებული. გილარჩინილი ძეგლების სურათები იხ. Fr. Sarre-ს წიგნი Denkmäler persischer Baukunst. Berlin 1910. აგრეთვე Курьер ЮНЕСКО, 1957, январь.

7. Олеарий, 720.

8. იქვე, 728.

9. იხ. ჩვენი „მასალა ვახტანგ VI ბიოგრაფიისათვის“ („არ. ნაწ. ტ. I). ისპაჰანის ყოფილი სიდიადის შესახებ ლაპარაკობს მაშინ გავრცელებული გამოთქმა — „ის პაჰან ნისფ-ჯაჰან“, რაც „სამყაროს ნახევარს“ ნიშნავს. ამჟამად იგი ნახევრად დანგრეული ძეგლებითაა ცნობილი. ზოგიერთი სურათი მისი ძეგლებსა, Fr. Sarre-ს ცნობილი ალბომის გარდა, იხ. ჟურ. „სურთერ იუნესკო“, 1957, გვ. 31—36. „Исфахан—половина мира“ (წერილი ილუსტრაციებით).



შაიკ პიპინაშვილის პორტრეტი.

ნატო ვალაჰანდიშვილი



ორი მთა.



საღამე.

ნატო ფალავანდიშვილი



ძველი თბილისი.

პარლამენტის წევრი კარლო კალაძის დაბადებიდან 60 წლისთავის ბაშვილი



პარლამენტის წევრი კარლო კალაძის დაბადებიდან 60 წლისთავის ბაშვილი

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც კარლო კალაძე ახალი ქართული ლირიკის საუკეთესო ოსტატთა რიგებში დგას. იგი ცამეტი წლის უმაწვლილი იყო, როცა პირველი ლექსები გამოაქვეყნა არაღვალურ გაზეთ „კომუნისტში“, 1920 წელს. კარლო კალაძემ პირველივე სტრიქონებით უმღერა ოქტომბრის რევოლუციის ქარიშხლის მოახლოებას, მისი შუქის შემონახვას ამიერკავკასიაში, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე იგი დაუღალავად მუშაობს და იღწვის ახალი პოეზიის დამკვიდრებისათვის.

მოწინავე ოჯახიდან გამოსული, ჰუმანიზმის კეთილშობილურ იდეებზე აღზრდილი პოეტი თავიდანვე გამსჭვალული იყო უღრმესი სიყვარულით სამშობლოსადმი, ადამიანისადმი. ახალი ქართული ლირიკა ორგანულად ითავსებდა მე-19 საუკუნის ლიტერატურის მაღალ პატრიოტულ იდეალებს, მის შესანიშნავ ტრადიციებს. კარლო კალაძემ მუდამ კარგად იცოდა, რომ ახლისათვის ბრძოლა, ნოვატორობა კი არ გამოიხატებდა, არამედ აუცილებლად გულისხმობდა ძველის უქვირფასესი ტრადიციების ათვისებას. ამ მყარ საფუძველზე შენდებოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია. კარლო კალაძეს მის პირველ მშენებელთა და ფუძემდებელთა შორის მუდამ საპატიო ადგილი ეკუთვნის.

ახალ დროს, ახალ ეპოქას მაღალი და სრულყოფილი ასახვა სჭირდებოდა. პოეტმა ეს თავიდანვე კარგად იგრძნო. ამიტომ თავისი მუშაობა მან წარმართა ეპოქის შესატყვისი პოეტური ფორმების ძიებისაკენ. ის მუდამ ცდილობდა ყოველი მისი ახალი ნაწარმოები, ლექსი თუ პოემა, ახალ პოეტურ ფორმას უყოფილიყო გამოკვეთილი. „ჭერ გამოუთქმელ სიტყვებთან ბრძოლა ყოველ შემთხვევაში ურთულესია“ — ამბობდა ის ერთ-ერთ ლექსში და აღსანიშნავია, რომ ამ რთულ შრომაში მან მიაღწია სასურველ გამარჯვებას.

არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის თუ ხალხის ცხოვრებაში არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც კარლო კალაძე თავისი შემოქმედებით არ გამოხმაურებოდა, თავისი გულწრფელი პოეტური სიმღერის საგნად არ ექცია.

პოეტის ყურადღების ცენტრში მუდამ ადამიანის შინაგანი სულიერი სამყარო იყო მოქცეული; კარლო კალაძის ლირიკა წრფელი და უშუალო გამოძახილია ეპოქისა, იგი ეტრფილება, ზრდის და აღვივებს ყველა წმინდა გრძობას, რომელიც აზრს აძლევს და აღამაზებს ადამიანის ცხოვრებას.

დღეს ჩვენი ლირიკა მაღალ მწვერვლებს აღწევს, მას მთელ საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთაც იცნობენ და უყვართ იგი. ამაში კარლო კალაძეს, თავის თანამოკალმებთან, ქართული სიტყვის სხვა ოსტატებთან ერთად, დიდი ღვაწლი მიუძღვის.

თავისი შემოქმედების პირველ ათეულ წლებში კარლო კალაძემ, როგორც პოეტმა, სრულ პოპულარობას მიაღწია და ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩვენს ქვეყანაში მომხდარი გარდაქმნების ერთ-ერთი ღირსეული მემკვიდრე გახდა. მისი პოემა „უჩინარი“ ერთ-ერთი პირველი ქართული საბჭოთა ეპიკური ნაწარმოებია, რომელშიც მაღალი მხატვრული ოსტატობითაა ნაჩვენები იმ დროის ქართული სოფლის ცხოვრების სურათები. იმავე ხანებში დაწერა მან პოემები „მთების ებოსი“ და „ამბავი აჭარელ ამხანაგებისა“, რომლებშიც გამოხატულია ჰპოვეს ჩვენი დროის მღელვარე ამბები.

კარლო კალაძის მრავალრიცხოვან ლექსებში კოლორიტულადაა წარმოსახული ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნების წარმტაცი სურათები, ჩვენი სოფლებისა თუ ქადაქების პეიზაჟები, ზღვისა და მდინარეების ღელვა და დუღუნი, საყვარელი თბილისის მოგუგუნე დღეები. პოეტი მუდამ აღსავსეა სამშობლოს უღრმესი სიყვარულით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კარლო კალაძის ლექსების ციკლი „ჩერთვისის განთიადები“ და „მგზავრობის დროს თქმული ლექსები“; ისინი გამსჭვალული არიან ახლებური რომანტიზმის მძაფრი სულისკვეთებით, მომხიბვლელი ქართული კოლორიტით.

ომის წლებში კარლო კალაძე თავისი ლექსებით განუმტკიცებდა ჩვენს ხალხს გამარჯვების რწმენას. კავკასიის გამრული დაცვის დღეებში პოეტი მოქმედ არმიაში გაემგზავრა. ფრონტზე მიღებული უშუალო შთაბეჭდილებითაა აღსავსე მისი იმდროინდელი ლექსები.

კარლო კალაძე არა მარტო თვალსაჩინო საბჭოთა პოეტი, არამედ სახელმწიფო დრამატურგიც. მისმა პირველმა პიესებმა („როგორ“ და „ხატაჯი“) დიდად შეუწყვეს ხელი ახალი ქართულ საბჭოთა თეატრის ფორმირების პროცესს. პიესა „როგორ“, რომელიც ასახავს პირველი რევოლუციის სურათებს, შევიდა ქართული თეატრის რეფორმის კოტე მარჩანიშვილის მიერ დადგმულ საუკეთესო სპექტაკლთა რიცხვში. „ხატაჯიში“ მთავარ როლს ასრულებდა ჩვენი დაუვიწყარი უშანგი ჩხეიძე. იგი გულბათის სახეს მუდამ თავის საყვარელ როლებს შორის იხსენებდა. კარლო კალაძის შემდგომი პიესები „სახლი მტკვრის პირას“ და „ლალი“ ჩვენი ყოფის მტკივნეულ საკითხებს აღძრავდნენ.

კარლო კალაძის დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. იგი კვლავ ახალგაზრდული შემართებითაა ჩარეული ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების შუაგულში; ვუსურვოთ ქართული სიტყვის ამ შესანიშნავ ოსტატს დღეგრძელობა და ახალი წარმატებანი ჩვენი ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ანდრო თივაშაძე

ეკლზნება ოქვობრის 50 წლისთავს

ჩვენი გამომცემლობები ლირსეულად ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან იუბილეს — ორმოცდაათი წლისთავს. ამ დღეებისათვის გამოდის ჩვენი საუკეთესო პროზაიკებისა და პოეტების რჩეული ნაწარმოებები, რომლებიც გამოხატავენ ახალი სოციალისტური ეპოქის ზეადმავალი განვითარების პროცესებს. ამას გარდა, იბეჭდება ნარკვევების მრავალი კრებული, სადაც ჩვენი მწერლები და ჟურნალისტები მოგვითხრობენ საბჭოთა საქართველოს ადამიანების წარმატებებზე, ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში გაჩაღებულ შემოქმედებით შრომაზე, ახალი ყოფის დამკვიდრებაზე.

ნარკვევების ამ კრებულთა შორის მკითხველის ყურადღებას იპყრობს ცნობილი ქართველი პროზაიკის გრიგოლ ჩიქოვანის ახალი წიგნი „ჩვენი დღეები“, რომელიც ავტორს დიდი თარიღისათვის მიუძღვნია. ეს ძალზე საინტერესო კრებულია. აქ უბრალოდ, სადაც, საქმის ღრმა ცოდნით მოთხრობილია იმ ადამიანებზე, ვინც საქვეყნო დოვლათსა ჰქმნის, ვინც თავისი მარჯვნივ აწინებს ახალ საქართველოს. წიგნის ფურცლებიდან ჩვენს წინაშე წარმოსდგებიან სოფლისა და ქალაქის ნოვატორები, საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მეჩაიეები, მეციტრუსეები, მევენახეები, მარცვლეულის უხვი მოსავლის ოსტატები, მეფოლადეები, კალატოზები, ინჟინრები, მბურღავეები, მშენებლები. აქვე გვხვდებიან წარმოების დირექტორები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, რაიკომის მდივნები, ყველა ისინი, ვინც წარმართავენ ამ ადამიანთა შრომას. წაიკითხავ წიგნს და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ყველა მისი გმირი შენი დიდი ხნის ნაცნობი იყოს. და ეს იმიტომ ხდება, რომ მწერალი მათზე მთელი ინტენიონა და გულის სითბოთი მოგვითხრობს.

აი, მაგალითად ნარკვევი „დრო და ადამიანი“. აქ მარტო ერთი ქალის — თამარ ყუფუნისაა შრომაზე კი არ მოგვითხრობს ავტორი, აქ ჩანს, რო-

გორ იღვამდა ფეხს ახალი, საკოლმეურნეო სოფელი, როგორ სძლიედნენ ეს უბრალო ადამიანები ათასგვარ სიძინელს, ომის წლების სადარდელსა და გაჭირვებას, როგორ აკვიდრებდნენ ახალს სოფლადაც და თავის ოჯახშიც.

ჩვენს ჟურნალისტებზე, ჩვენი პრესის მუშაკებზე საერთოდ ძლიერ ცოტა იწერება. ამავე დროს, ბევრ მათგანს ფრიად მდიდარი ბიოგრაფია აქვს. სწორედ ამიტომ ღრმა ინტერესით იკითხება ნარკვევი „მიწა და გული“. ამ ნარკვევის მთავარი გმირია ომის ცეცხლში გამოწრთობილი ჟურნალისტი არჩილ კოკილაშვილი; ომის შემდგომ ის კვლავ რედაქციას დაუბრუნდა, აქედან თელავის რაიონში, სოფელ კონდოლში წავიდა, სადაც იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. თურმე საარჩევნო კრებაზე ზოგიერთებმა უიმედობა გამოთქვეს, ისმობა წამოძახებები — „დღეს ჩვენ აქ რედაქტორს ვირჩევთ, თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს“, „ბევრი

ასკეიფა თავმჯდომარე გამოვეცვლია“. „დაჯდება ცარიელ შრომადღეზე და მაშინ დაიკვეცოსო“, ბოლოს გადაწყვიტეს — სადაც თვრამეტი თავმჯდომარე აგვირჩევია, ეგეც მეცხრამეტე იყოს. რედაქტორი ჯერ არ გვეყოლია თავმჯდომარედ, ვნახოთ რა რკინისაგან არის ნაქედი, რა ნიშანი-კორააო. ერთი სიტყვით, იჩივის კოკილაშვილი და მალე დაინახეს, რომ მართლაც კარგი და მუხლმავარი ნიშანი-კორა გამოდგა ჩვენი არჩილი.

წიგნში ოცდახუთი ნარკვევა მოთავსებულია. ამ პატარა წერილში ძნელია ყველას განხილვა; მწერალს დრო და ენერჯია არ დაუზოგავს მოველოთ თითქმის მთელი საქართველო, წასულიყო ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, ენახა ეს ადამიანები, გასცნობოდა მათ შრომას, მათ ყოფა-ცხოვრებას. ამას გარდა, აქ არის მშვენიერი ნარკვევები მოქმედ სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებზე. ავტორი ავგვიწერს ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხთა ერთსულეოვან ბრძოლას ნათელი მომავლის დასამკვიდრებლად.

ო. ძიმიშვილი



თონაუში უპილო დალა

დიდი ხანი არ არის, რაც ამ სახლში მოხინდრეები ჩასახლდნენ. ერთმანეთს ჯერ კარგად არც იცნობენ მეზობლები. ბაბაღე ბახტაძის სახელი კი ყველა იცნობდა და ფოსტალიონშიც, სასახლეო ადამიანთა ბაბაღე — თორმეტი შვილი გაუზარდა სამშობლოს.

ენა იტყვის ადვილად, თორემ თორმეტი შვილის გამოზარდა ერთი ქალისათვის ადვილი საქმე არ არის. ვინ მოთვლის რაოდენი შრომა და ჯაფა, რამდენი უძილო ღამე იყო საჭირო, რომ თორმეტი შვილი გამოეზარდა და ყველა გზაზე დაეყენებინა.

მართლაც, აბა, რა შეედრება მოხუცი დედის ბედნიერებას, ამდენი მოსწრებული შვილი და შვილიშვილი რომ უდგას გვერდით.

ბაბაღემ ახლახანს ამანათი მიიღო ვიქტორისაგან ლენინგრადიდან. ნიკოლოზმა ტყვარჩელიდან შემოუთვალა, ამ დღეებში ჩამოვალ და გინახულებო; მიხეილი, სვეტიცხოვე, ვენერა, ნადეჟდა აქ არიან, თბილისში და ხშირად მოდიან დედასთან.

მოხუცს წუთითაც არ იფიქრებენ შვილები, მაგრამ ბაბაღეს მანაც გული წყდება, რომ ყველანი არ ჰყავს გვერდით, ერთად თავმოყრილი, როგორც მამის, პატარები რომ იყვნენ.

შვილები მართლაც საამაყონი გამოზარდა ბაბაღემ. ყველგან მათი ქება ესმის მოხუცს და დედის გული სიხარულით ივსება. ხან გაზეთს და რადიოს მოაქვს მისი შვილების ქება, ხან ადამიანებს.

მიხეილი ინჟინერ-მშენებელია, ვიქტორი მფრინავია, სამამულო ომის დროს გაიტაცა ამ საქმემ და მერე ამ დარგს გაჰყვა. ახლა ლენინგრადაშია, იქ მსახურობს.

დიდი სიმწარე ნანა დედამ ომის დროს. ცხრა შვილი ჰყავდა ფრონტზე. წავიდნენ ბიჭები ომში და ერთბაშად დაცარიელდა სახე ოჯახი. იჭდა მარტო მოხუცი შინ და ელოდა პატარა ბარათებს.

ცხრიდან ორი ვეღარ დაბრუნდა შინ — ვლადიმერი და ალექსანდრე. პირველი ინჟინერი იყო, მეორე მომდერალი.

წელს სამოცდამეათეუთმეტიე გააფხულს ხვდება ბაბაღე ბახტაძე; და ამაოდ არ უცხოვრია ამ ქვეყნად. მან პირნათლად მოიხსნა ყველაზე დიდი და წმინდა ვალი ქალისა.

დედობა უდიდესი ბედნიერებაა, მეტი შვილი მეტი სიხარულია — ეს ბაბაღე ბახტაძეზე უკეთ ვინ იცის. ამიტომ შვილებს მუდამ ამას ეუბნება მეტი შვილი იყოლიეთო. ამ მხრივ ცოტა არ იყოს უკმაყოფილოც არის შვილების: თითო-ორი ბავშვის მეტი არც ერთს არა ჰყავს. ხშირად იტყვის ხოლმე მოხუცი:

— მე ერთმა თორმეტი გამოეზარდეთ, თქვენ კი სამი-ოთხი შვილიც არ გინდათ გამოზარდეთ? ეს ქვეყანა, ეს ცა და მიწა ყველას ეყოფა! მოხუცდა ბაბაღე, ძველებური ძალ-ღონე არ მოსდევს მუხლებში, მაგრამ ამაზე არა წუხს. სამაგიეროდ ისინი — შვილები და შვილიშვილები არიან ჯან-ღონით სახეს, ისინი, ვისაც მთელი სიცოცხლის მანძილზე შეგზარის.

წელი გოგოლაზშილი

შეიძლება ესაგ ბახაიბრეს?

ზარალი, რომელიც წყალდიდობამ მიაყენა იტალიის, უდროს ორ მილიარდ დოლარზე მეტ თანხას. ეს იყო დიდი უბედურება. მაგრამ, როგორც იტალიის პრესა იუწყება, თურმე არიან ისეთი ადამიანებიც, ვინც ფიქრობს, რომ ამ წყალდიდობამ დადებითი შედეგებზე მოახდინა იტალიის მრეწველობაზე. ისინი ასე ანგარიშობენ: 23.000 დანგრეული ბინის ხელახლა

აშენება, 5.200 კილომეტრი გზატკეცილის რეკონსტრუქცია, 40.000 ახალი ავტომანქანის გამოშვება მოქალაქეთათვის, რომლებმაც წყალდიდობის დროს დაკარგეს ისინი — დიდად გააცხოველებს მშენებელთა და მეწარმეთა საქმიანობას.

მართლაც, რომ ყველა თავისი აღლით ზომავს ცხოვრებას.

ნაკ-ჟოსი

დაბადებიდან 100 წლისთავის ბაშო

გამოჩენილი სომეხი მწერალი ნარდოსი (მიქაელ ოვანესიანი) სამწერლო ასპარეზზე მე-19 საუკუნის დამლევე გამოვიდა. პირველი ნაწარმოები, რომელმაც მწერალს სახელი მოუხვეჭა, „ანა საროიანი“ იყო. ამ მოთხრობამ გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო ფართო მკითხველის ყურადღება.

სტეფანე ზორიანი თავის მოგონებებში წერს:

„არაერთხელ შევხვედრილვარ ნარდოსს, გვისახუბრია ლიტერატურულ საკითხებზე. ერთხელ მას კვითხე შენი ნაწარმოებებიდან ყველაზე ძალიან რომელი მოგწონს-მეთქი. მან მიპასუხა: „ანა საროიანი“. და უმაღლესი დასძინა — მოთხრობა ერთ დღეში დაწერივ, შეუსვენებლივ, დიდი გატაცებით და, როცა დავამთავრე, მთელი დღე ვტიროდი. ანა საროიანი ტრაგიკულად ამთავრებს თავის სიცოცხლეს, სხვანაირად ვერც დაბოლოვდებოდა მოთხრობის ფინალი; მდიდრულ ოჯახში ფუფუნებას მიჩვეულმა ქალიშვილმა, როცა ოჯახი გადატაცდა, ცხოვრებაში გზა ვეღარ გაიგონო, გაჭირვებას თავი ვეღარ ვაართვა და დაიღუპა.“

ნარდოსი ასახავს დაბალი ფენების ადამიანთა ცხოვრების სიდუხჭირეს. მოთხრობების მთელი ციკლი — „ჩვენი უბანი“ ეხება ხელოსნების ყოფა-ცხოვრებას. ამ მოთხრობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ოფოფი“, „როგორ განეკურნეს“, „რამოსდა მას შემდეგ, როცა საშაქრში

ორი ნატეხი შაქარი დარჩა“, „შავი ფულების სარგებელი“, „საქულა სალოცავად წავიდა“. ნარდოსის ნაწარმოებები ქართულად თარგმნეს იოსებ გრიშაშვილმა, მიხეილ მამულაშვილმა და არტემ დავითიანმა.

რომანოვში „ბრძოლა“, „სიკვდილი“, „მოკლული მტრები“, „უკანასკნელი მოპიკანები“ ნარდოსი ფართოდ ხატავს ინტელიგენციის ყოფაცხოვრებას, მის ზნობრივ-მორალურ სახეს, ქმნის დასამახსოვრებელ ტიპებს.

ნარდოსი დაიბადა 1867 წელს, თბილისში, ხელოსნის ოჯახში. მან დაწვებითი განათლება მიიღო ავღაბრის სამრევლო სკოლაში, შემდეგ სწავლობდა რუსულ სამოქალაქო სასწავლებელში, ქუთაისის სამსწავლებლო სემინარიაში და ბოლოს თბილისის სახელოსნო სკოლაში.

ნარდოსი მუშაობდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში მდივნად, სტილისტად, კორექტორად.

1931 წელს თბილისში, რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში ფართოდ აღინიშნა ნარდოსის სამწერლო მოღვაწეობის ორმოცი წლისთავი, იუბილარს გულთბილად მიესალმნენ კავკასიის ყველა ხალხის შვილები.

ნარდოსი გარდაიცვალა 1988 წელს, დაკრძალულია თბილისში, ყოფ. ხოჭიანქის სომეხ მწერალთა პანთეონში.

ივანე დავითიანი

გომრები ერიტორიის პიკეტაჟი

როგორც ცნობილია, გომრები ერიტორიაში, ისე როგორც 1832 წლის შეთქმულების ბევრი სხვა მონაწილე — სამშობლოდან გადასახლეს, 1834-42 წლების მანძილზე იგი ცხოვრობდა ვილნოში, კოვენოში, ვოლკოვისკოში, რიგაში, ვარშავაში.

გადასახლების წლებში გ. ერისთავმა მრავალი ლექსი დაწერა, მათ შორის „მტკვრისადმი“, „ყაბახისადმი“, „ხელჯაგვი“, „როზალია ბიშინგა“, „ჩემს ძმას ივანეს“, „პელაგია არცემოვიჩის“ და სხვ.

გ. ერისთავმა 1838 წლის ზაფხულში მოახერხა მცირე ხნით სამშობლოში ჩამოსულიყო. 1838 წლის 10 ივლისით დათარიღებულ ლექსს „როზალია ბიშინგა“ პოეტმა სათაურის ქვეშ მიაწერა: „პასუხი მის ლექსზედ „ნახვამდის“.

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ გ. ერისთავის ერთ-ერთ კრებულში (ხელნაწერი № 18032) შესულია პოეტის მიერ ამავე რიცხვით დათარიღებული ერთი უცნობი ლექსი სათაურით „ი. კასკოვსკის ანტიკვარისა, უამსა გამოსალმებისასა“. აღნიშნული ლექსი აღწერილია საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ბიბლიოგრაფიაში (1949 წ. გვ. 91), მაგრამ რატომღაც გ. ერისთავის თხზულებათა უკანასკნელ გამოცემაში (1966 წ.) შეტანილი არ არის.

მოგვყავს ეს ლექსი მთლიანად.

ი. კასკოვსკის ანტიკვარისა, შანსა გამოსალმებისასა

იოსებ, რადგან შენ ხარ ბრძენი, ანტიკვარია, რომე უწყი, ბუნებასა რაცა დაუწერია, ადვილად წარიკითხავ ჩემსაც დაწერილებას, გესალმება ქართველი, ნუ მისცემ დაიწყებებს და გთხოვ, რომე შემრაცხო რიცხვთა შენთა მეგობართ და მათთან განმიღებდე მოგონებისა მეც კართ.

10-ს ივლისს, 1838-ს წელსა, ქ. ვოლკოვისკს. როგორც ჩანს, ეს ლექსი ავტორს დაუწერია იმ ხანებში, როცა იგი მცირე ხნით სამშობლოში მოდიოდა და უცხოელ მეგობრებს ეთხოვებოდა.

ლევია ნანიტაშვილი

არის ერთი ძველი ქართული ხალხური ანდაზა: რაც თხამ თრიპლს უყო, ის თრიპლმა თხის ტყავს უყო. ამ ანდაზის ზოგადი, გადატანითი აზრი ის არის, რომ მტერმა მტერს სამაგიერო მიუზღო; მაგრამ ანდაზას კონკრეტული აზროც აქვს — ის მოკლედ მოგვითხრობს, თუ რაში იყენებდნენ თრიპლს ძველად.

თრიპლმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო მაშინ, როცა შევუღდექით ტყავის დამუშავებისა და გამოყენების ხალხური წესების შესწავლას.

ბოტანიკოს ელისაბედ ქიქოძის სიტყვიერი ცნობით, თრიპლი თუთუბოს-ნართა ოჯახის ეკუთვნის და ცალკე გვარს წარმოადგენს. ზომით კაცის სიმაღლეზე იზრდება და ღერო ისეთი სისქისა დგება, რომ მისგან ვაზებისა და საბოსტნე მცენარეებისათვის ჰიგოები გამოიჭრება.

თრიპლი უხვად შეიცავს ნახშირბადს, წყალბადსა და უანგბადს. ხალხში ძველად, რა თქმა უნდა, ასე ზუსტად ეს არ იცოდნენ, მაგრამ პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს იყო საუკეთესო მასალა ტყავის დასამუშავებლად.

სიღნაღის რაიონში თრიპლის დამზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა — სოფელი ნუკრიანი იყო.

ს. ნუკრიანში, ვისაც სურდა თრიპლი დაემზადებინა, იღებდა სპეციალურ ნებართვას, შემდეგ ნებართვის მქონენი შეიკრიბებოდნენ, თრიპლიან ადგილს შეიკრებოდნენ, დაპოვდნენ ცალკე ნაკვეთებად, ჰყრიდნენ წილს და ვისაც რომელი ადგილი შეხვდებოდა, იქ დაიწყებდა მუშაობას.

ნებართვის მქონე ხშირად ოცდახუთ თრიპლის შემგროვებელ კაცს დაიჭირებდა ხოლმე, ერთ თავის თანაშემწეს უფროსად უნიშნავდა და თვითონ, შესაძლებელია თრიპლის დასაგროვებელ ადგილზე არც კი ჩასულიყო (იხ. სტ. მენთეშავილი — ქიზიური ლექსიკონი, 1948 წ. გვ. 80).

თრიპლს შირაქის ტერიტორიაზე — „ალაყაის, აჩაშიჩას, სამელანოს, სა-ნუკრიანოს, ზილიჩასა და ჩანჯადარას“ მიღამოებში აგროვებდნენ. ეს ადგილები სოფლიდან ათეული კილომეტრებით იყო დაცილებული და დაქირავებულნი სავსოვრებელ ბინას ერთი თვით შორდებოდნენ. დამქირავებელი მათთვის წინასწარ აცხობინებდა პურს, რომელსაც „თრიპლის პურს ეძახოდნენ“ (იქვე).

მეთრიპლებს სპეციალური ტანსაცმელი არ ჰქონდათ, მხოლოდ ფეხსაცმელად „რუმბიელის ქალამნები“ ეცვათ. რუმბიელს გარედან კუბრი ჰქონდა შერჩენილი; ამის გამო მიწაზე მოძრაობისას ხახუნის ძაღას აძლიერებდა და ფეხს დაცურებისგან იცავდა. მეთრიპლებს მიწაზე ფეხი მაგრად ედგა და მუშაობაში ხელი არ ეშლებოდა. რუმბი ეწოდებოდა კამერის მთლიან, შიგნიდან მოკუპრულ ტყავს, რომელსაც დიდი კანგების მაგიერ ხმარობდნენ, ღვინის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასატანად. რუმბიელის ქალამანი ნიშნავდა გაცეთილი რუმბის მონაჭრის ქალამანს.

თრიპლს ნუკრიანშივე დამზადებულ ბატარა ნამგლებით სჭირდნენ (ერთი ასეთი ნამგალი, კოლა-სოსიას-ძე-გვამდობის ნახშირი, დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების რკინის ფონდში, საკოლექციო № 88—59 (1)).

მოკრეფილ თრიპლს საურმე გზასთან გამართულ კალოზე შლიდნენ. კალოზე ჩაშლილ თრიპლს დაახლოებით თორმეტი საათის განმავლობაში მზეზე აშრობდნენ. ემშრომნა და ნაწილობრივ გამხმარი თრიპლს, გარეშეში საღსადა-ჯის ხის კეტებით მოუდებოდნენ და ბეგავდნენ.

თრიპლის დაბეგვის შემდეგ ტოტები და ფოთლები ცალ-ცალკე რჩებოდა. საერთოდ, თრიპლის დაგროვების თვედ სექტემბერი ითვლებოდა, რადგანაც ამის შემდეგ ფოთოლი უვითლდებოდა და ძალას ჰკარგავდა.

დაბეგვის შემდეგ თრიპლი უნდა დაეფკვათ. თრიპლის საფკვაი წისქვილები გამართული იყო თბილისში, თელავში, ქუთაისში, საჩხერეში და სხვ. დღეს ჩვენში თრიპლის საფკვაი წისქვილების არავითარი კვალი არ არის დარჩენილი, მაგრამ ისინი ველზე ეთნოგრაფიულად, მთხრობელთა მიერ მოწვდილი მასალების მიხედვით გვაქვს შესწავლილი.

ქ. სიღნაღის ბოლოს, სოფელ ანაგის ზევის თავში თრიპლის საფკვაი ორი წისქვილი იყო მოწყობილი: ორივე „მილის წყლებთან“, ზევის მარცხენა მხარეს, ერთი-მეორისაგან ოცი-ოცდაათი მეტრი მანძილის დაშორებით.

თრიპლის საფკვაი წისქვილებს საკმაო ფართობი ეჭირათ. ცნობილი იყო თრიპლის დაფკვის უფრო მარტივი საშუალებაც, ქ. სიღნაღში მას „ფეხის დიბაკი“ ეწოდებოდა. ამბროლაურში თავის დროზე დამოწმებული გვაქვს „წყლის დიბაკიც“.

თრიპლს ერთგვარ რიტუალურ მნიშვნელობასაც აძლევდნენ. მოხუცმა თბილისელმა მედაბლებმა გადმოგვცეს, რომ მორწმუნე ქალები სპეციალურად მიდიოდნენ დახანაში, თან ჭურჭელი მიჰქონდათ, თაღრიდან წყალში გახსნილ თრიპლს იღებდნენ, მიჰქონდათ შინ და დაძინების დროს სანთლებს რომ აანთებდნენ, თრიპლის წვესს შუბლსა და ნიკაპზე ისვამდნენ. იმ აზრით რომ უშვილოს შვილი გვეყოლებოდა.

ამ მოკლე წერილში ძნელი იყო შევხებოდი თრიპლის დამზადებისა და დამუშავების წესებსა და მდგომარეობას მთელი საქართველოს მასშტაბით. ერთი კი უნდა აღინიშნოს — ამ საქმეს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ძველი საქართველოს ხელოსანთა ყოფასა და შრომით საქმიანობაში.

ი. ნანოვაშვილი, მ. ტიგანელი.

საოცარი ფსიქოლოგიური ურთიერთობა. ზოგი ყველა პარტიას აგებს ისეთ მეტოქესთან, რომელიც ნამდვილად არ აღემატება მას ძალით. სად გენიალური ალიოხინი და სად მეორეხარისხოვანი შვეიცარიელი ოსტატი ჰენებერგერი? მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ალიოხინი ყველა პარტიას აგებდა... ჰენებერგერთან (როგორ გინდათ ახსნათ ესოდენ უცნაური მოვლენა). ტალის რეპუტაცია უდავოდ აღემატება კორჩინოს რეპუტაციას, მათი პირადი ანგარიში კი გახლავთ 7:1 კორჩინოს სასარგებლოდ (ყაიმებს არა ვთვლით). რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ტაიმიანოვისათვის სწორედ ესეთ „ძნელ“ მეტოქეს წარმოადგენდა დღემდე სმისლოვი, რომელთანაც აგებდა თითქმის ყველა პარტიას; ახლა კი, ვფიქრობთ, მდგომარეობა შეიცვალა.

რახან ტაიმიანოვსა და სმისლოვზე ვლაპარაკობთ, უნდა შევხიზნოთ, რომ ისინი არა მარტო გამოჩენილი მოჭადრაკეები, არამედ შესანიშნავი ფსიქოსებიც არიან. სმისლოვს ფრიალსასამოვნო ბარითონი აქვს, ტაიმიანოვი კი საუცხოო პიანისტი. 1954 წელს, როდესაც ორივე დიდოსტარი შვეიცარიაში იმყოფებოდა, ციურიხის ტელევიზიით გადასცეს ასეთი თავისებური კონცერტი: ჯერ სმისლოვმა იმდერა ლენკოვალს „ჯამბაზების“ ურთულესი პროლოგი; შემდეგ კი ტაიმიანოვმა შეასრულა შოპენის ბალადები. ტაიმიანოვი 12 წლის იყო, როდესაც თავის მომავალ მეუღლეს ლუბა ბრუკთან ერთად საფორტეპიანო დუეტების საღამოს მართავდა. მოცარტის კონცერტი ორი ფორტეპიანოსათვის მათ მრავალ ქვეყანაში შეასრულეს. ახლა მათ პროგრამაში გამოჩნდა ბახის კონცერტი... სამი ფორტეპიანოსათვის! კი, მაგრამ მესამე პიანისტი ვინაა? ეს გახლავთ ტაიმიანოვისა და ბრუკის ვაჟი, 17 წლის იგორ!

ჰუნდრაკში ტაიმიანოვი მსოფლიოს ექსპრესიონის მ. ბოტევიჩის მოწაფეა. 1952 წელს, სტოკჰოლმში იგი დიდოსტატი გახდა. ვაილა კიდევ ერთი წელი და მოწაფე მასწავლებელს შეებრძოლა მატჩში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაზე. ბოტევიჩი მაშინ მსოფლიოს ჩემპიონი იყო, მატჩის წაგება კი მისი რეპუტაციის დიდ შელახვას მოასწავებდა; ბოტევიჩმა, რომელიც იმ წლებში აზნაზარებდა მთელ საქარაკო სამყაროს, დიდი ვაჭირებით მოუგო ტაიმიანოვს — 3,5:2,5.

ძნელი, ძალზე ძნელი თამაშია ჰუნდრაკის მოჭადრაკეს ვერ მოაგონებთ იმ ტურნირებს, და ქალაქებს, სადაც მან მარცხი განიცადა. სწორედ ამიტომ არ უყვარდა ლასკერს ჰუნანა, სადაც კაბაბლანკასთან წაგო. ალიოხინს არ სურდა ეთამაშა პოლანდიაში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონობა ეივებს ჩააბარა. მაგრამ რა დაავიწყებს მოჭადრაკეს იმ ქალაქს, სადაც სპორტული და შემოქმედებითი ტრიუმფი იზეიმა ასეთია ჩვენი თბილისი მარკ ტაიმიანოვისათვის, სადაც მან მოიპოვა არა მარტო ბრინჯაოს მედალი, არამედ პრიზიც შესანიშნავი დაბოლოებისათვის. ხოლო თუ რამდენად ძვირფასია ეს პრიზი დიდოსტატისა და პიანისტისათვის ამაზე ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ.

ვიკი გაგრამელი

საკვებრო საქარაკო ჩემპიონატის დახურვისას ურნალ „დროში“ ჯილდო გადაეცა ლენინგრადელ დიდოსტატ მარკ ტაიმიანოვს, რომელმაც შესანიშნავი ენდშილი მოუგო მსოფლიოს ექსპრესიონის ვასილ სმისლოვს.


„რა მოხდა? — იკითხავს მკითხველი — ერთმა დიდოსტატმა დაამარცხა მეორე, თუნდაც უკეთესი რეპუტაციის მქონე დიდოსტატი“. შეიძლება ზოგ გულშემატკივარს ეს შედარებით უმნიშვნელო მოვლენად მოეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში საქმე ასე როია.

საკარაკო პარტიის ურთულეს, უძნელეს ნაწილად იყო და რჩება დაბოლოება, ენდშილი. ვისაც სურს უძალდეს ოსტატობას მიიღწიოს (რა თქმა უნდა, აქ მარტო სურვილი არ კმარა) უპირველეს ყოვლისა, ენდშილში უნდა დახელოვდეს. თუ შუა თამაშში დაშვებული შეცდომის გამოსწორება კიდევ შეიძლება, ენდშილში თუნდაც ერთი, უზუსტო სვლა საბედისწერია. როდესაც ალიოხინს ჰკითხეს, რატომ სწავლობს იგი ასე შეუპოვრად დაბოლოებებს, მან უპასუხა, რომ უამისოდ შეუძლებელია მსოფლიოს პირველობაზე მატჩის თამაში კაბაბლანკასთან. „კი, მაგრამ, მსოფლიოს ჩემპიონი ხომ ლასკერია?“ „რა თქმა უნდა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ საქარაკო ტანტზე კაბაბლანკა ავა!“

და თუ წარსულში ენდშილის უძალდო მცოდნედ კაბაბლანკა მიაჩნდა, ჩვენს დროში ასეთად ითვლება სმისლოვი; იგი დაბოლოებებში ქვემარტივი ვირტუოზია. თუ ბოტევიჩის დამახასიათებელ ნიშნად ითვლება „საილყო“ თამაშში განუყოფელი ხელოვნება, ტალი შეუდარებელია კომპინაციური იერიშისას („საბჭოთა დიდოსტატი ტალი გახლავთ დემონური ძალის, გენიალური მოიერიშე მთამაშე“—ამბობს ცნობილი გერმანელი ოსტატი ბრინკმანი), კორჩინო მრისხანა კონტრშეტევისას, სმისლოვის სფეროდ ითვლება ისეთი ენდშილი, რომელიც თითქოს არაფერი საინტერესო აღარაა მოსალოდნელი. მსოფლიოს ექსპრესიონი ეივე წერდა: „მომდინარე გოლიათი სმისლოვი ასეთებს სვლებს, რომელსაც ყველა ახვდა დიდოსტატიც გააკეთებდა. არის მხოლოდ ერთი „მცირე“ განსხვავება — სმისლოვი იგებს, სხვები კი ვერა!“

და სწორედ ასეთი გოლიათი დაამარცხა მარკ ტაიმიანოვმა, დაამარცხა იქ, სადაც სმისლოვი შეუდარებლად ითვლება. გადახედეთ სმისლოვის პარტიების კრებულს: თანამედროვეობის რომელი დიდოსტატი დაიტრამბებდა ამდენი ენდშილის ვირტუოზულად მოგებას. რომ აჩვენოთ გულშემატკივარს ტაიმიანოვ-სმისლოვის პარტიის დაბოლოება, და არ გაუმხილოთ, რომელი ფერით თამაშობდა მსოფლიოს ექსპრესიონის, აუცილებლად გავიგონებთ: „რა შეუდარებელია ენდშილში მოსკოველი დიდოსტატი ნახეთ, როგორი თანამიმდევრობით, როგორი არტისტიზმით სძლია მან შაევს“. სინამდვილეში კი ეს პარტიი უკუშარბი „სმისლოვისებური სტილით“ მოიგო მარკ ტაიმიანოვმა!

მარტო ამით როდი ხსიათდება ტაიმიანოვ-სმისლოვის ეს საოცარი პარტია. ჰუნდრაკში, თუნდაც პირველხარისხოვან დიდოსტატებს შორის,





ზვიშევი

ზვიშევი კუხნიანი

ბელი კაცი, რომელიც გვიზიარებს საკუთარ აზრებს, ფიქრებს და მოგვიტოხრობს იმდენად არა თავის წარმატებებზე, რამდენადაც თავის სუსტ, სასაცილო მხარებზე. სწორედ ამიტომ იყო იგი ასე ადამიანური და ყველასათვის მახლობელი.

პირველი ადამიანი, რომელსაც მისი ტრაგიკული სიკვდილის მეორე დღეს ველაპარაკე, იყო ვარშავის ტაქსის შოფერი. მას რამდენჯერმე უტარებია ციბულსკი ქალაქში და ისე ლაპარაკობდა მასზე, როგორც გულითად მეგობარზე. „ზვიშევი“, ასე იხსენიებდა შოფერი მას. ყველა ასე ეძახდა, ჯერ არ მსმენია, რომ ვინმეს მოესხენების იგი როგორც „პან ციბულსკი“.

რა შეიძლება ითქვას ისეთ პოპულარულ მსახიობზე, როგორც ციბულსკი იყო? იგი არის პიროვნება, რომელიც მთელ საზოგადოებას ეკუთვნის. არ მოიძებნება ადგილი, სადაც მას დამალვა მოეხერხებინოს. ის ყოველთვის ჩანდა; იგი გახდა კომენტარების, მითქმა-მოთქმის, უმეტესად უსამართლო კორების საგანი, რომლებიც ზერელე დაკვირვებებზე იყო დამყარებული. ამის შედეგად კი საბოლოოდ არასწორი, ადამიანის მცდარი სურათი იქმნება.

ზვიშევი — ფეთხუმი, უღისციბლინი; ზვიშევი, რომელიც ძალიან ცოტას კითხულობს. ზვიშევი — არასერიოზული, რომელიც ღამეებს რესტორნებში ატარებს. მას არა აქვს

დროს შეგრძნება. იგვიანებს, ან სულ არ მიდის დათქმულ შეხვედრაზე. ეს მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეა, მაგრამ მას ჰქონდა სხვა თვისებებიც.

დაწყებული, დაუმთავრებელი, ერთის შეხედვით ზედმეტი უესტი, მოძრაობა — აი მისი ოსტატობის თვისობრივი თვისებებურება. იგი გამოხატავდა შინაგან მოუსვენრობას, მოჭარბებულ ფიქრებსა და აზრებს, რომლებიც არ შეიძლება გამოითქვას, რადგანაც ისინი ძალიან ბევრია, რომელთათვისაც სიტყვების მოძებნა შეუძლებელია. ამიტომ სიტყვებს, რომლებსაც იგი წარმოთქვამდა, ჩვეულებრივზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდათ. ზვიშევი შეეძლო არაჩვეულებრივი დამაჯერებლობით ლაპარაკი, სწორედ — ლაპარაკი.

ის ფაქტი, რომ ციბულსკი ძნელად სწავლობდა ახალ როლს, რომ ხშირად ცვლიდა ტექსტს, ოდნავადაც არ მოწონებდა იმას, რომ იგი ანგარიშს არ უწყევდა სიტყვების ღირსებასა და მნიშვნელობას.

ზვიშევი იყო ინტელიქტუალური და, თუმცა ძნელია იმის თქმა, რომ იგი ნაკითხი იყო — მან ბევრი იცოდა და შეეძლო თავისი ცოდნით სარგებლობა. ამ ცოდნის წყარო, უპირველესად ყოველისა, საუბრები იყო, ძნელად თუ ვინმეს შეეძლოს ისეთი საუბარი, როგორც მას — სადამოღან გათენებამდის. თუ საუბრის თემა მისთვის საინტერესო იყო, უკვე ჰქარავდა დროის შეგრძნებას და სხვა ადარაფერი ახსოვდა ამ ჰვეყნად. მას ოსტატურად შეეძლო იუმორითა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ავტორიონით თხრობა (თავისთავს იგი ყბედს უწოდებდა), მაგრამ მას მოსმენაც შეეძლო. და, რამდენადაც მას უამრავი ნაცნობი ჰყავდა საზოგადო-

ების ყველა ფენაში, იმდენად მისი ცოდნა ადამიანებსა და სამყაროზე ვიწროდ შემოწმდებული არ იყო.

დაბოლოს, მისი დამოკიდებულება თავისი საქმიანობაში, თავისი პროფესიისადმი აღინიშნებოდა, — ამას მე სრული დარწმუნებით ვამბობ, — პასუხისმგებლობის უდიდესი გრძობით. მსახიობები სხვადასხვანაირად მუშაობენ. ზვიშევი თავის როლს არასოდეს არ იზვიანებდა საწერ მაგიდასთან. არ ვიცი როდის ფიქრობდა თავის როლზე. ალბათ, ან ქუჩაში სიარულის დროს, ან ძილის წინ, ან გრიმის წასმისას. შეიძლება მისთვის საქმარისი იყო ერთი წუთიც, რომლის განმავლობაშიც მოსდიოდა აზრი, რომელიც ნათელს ჰფენდა ყოველივე იმას, რაც აქამდე მისთვის გაურკვეველი და ამოუცნობელი იყო. მაგრამ, ისიც კარგად ვიცი, რომ იგი მოსვენებას ჰქარავდა, ვიდრე არ იბოვიდა საჭირო გახადებებს, რასაც დიდი შეუპოვრობით ეძებდა.

ისეთი საყვედურებიც ისმოდა, თითქოს ზვიშევი ხშირად მეორედება. მას კიდევაც აკრიტიკებდნენ იმისათვის, რომ ყოველთვის სათვალევებს ატარებდა არა ვალებების ტყვილის მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ ასეთი იყო მისი სურვილი.

კადრები ფილმებიდან ციბულსკის მონაწილეობით.



ულმობელია სიკვდილი, განსაკუთრებით მათ მიმართ, ვინც დროის ფაქტორს ანგარიშს არ უწყევს. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა ზვიშევიც. იგი მეტად უდროოდ წავიდა ჩვენგან, ისევე უდროოდ, როგორც ჯიშის დინი, უფრო ფილიპი — სხვადასხვა უანრის ოსტატები, მაგრამ შემქმნელი მსგავსი სახეებისა, რომლებშიც ახალგაზრდობის მთელი თაობები პოპულარულნი თავიანთ გამოხატულებას. სწორედ ახალგაზრდობა იყო მათი შემოქმედების ძირითადი წყარო.

ზვიშევი ახალგაზრდა დარჩა თვით სიკვდილამდე, რომელიც მართალია ბრმა შემთხვევამ გამოიწვია, მაგრამ რომელშიც გამოჩნდა იგი ისეთად, როგორც სიცოცხლეში იყო. თითქოს ორმოც წელს მიღწეული კაცი კი არ ახტებოდა მატარებელს, არამედ ონავარი ბიჭი, რომელსაც მთელი ცხოვრება წინა აქვს, მაგრამ, რომელიც, მიუხედავად ამისა, ცდილობს ბოლომდე გამოიყენოს ყოველი წუთი. ახალგაზრდობა იყო მისი ძალა და ახალგაზრდობაზე შეიქმნა მისი ტრაგიკული ბედისწერა. ჩვენს მეხსიერებაში მუდამ ახალგაზრდად დარჩება იგი. ახალგაზრდა იქნება იგი მათთვისაც, ვინც მომავალში გაიცნობს მას ეკრანიდან. იგი მომავალშიც დასთესს ახალგაზრდობაში ჯანყისა და მოუსვენრობის, მშფოთვარე სიცოცხლის თესლს.

ილაპარაკო ზვიშევი, როგორც მსახიობზე, ნიშნავს ილაპარაკო მასზე, როგორც ადამიანზე. ყოველ მის როლში, სცენაზე იქნებოდა ეს თუ ეკრანზე, გაჯადოვებდათ მისი გულახდილობა და გაბედულება ელაპარაკა პირდაპირ, ელაპარაკა თავისი სახელით. ზვიშევის ყოველი ახალი როლი ხსნიდა მის პიროვნებას, ანდა მისი პიროვნების რომელიმე მხარეს. დაბოლოს, პირდაპირ, სამგლოვიარო სიტყვის პათოსის გარეშე რომ ვთქვათ, იგი იყო უდიდესი, არაჩვეულებრივი პიროვნება. ყოველივე ეს უფრო მეტია, ვიდრე აქტიორული ტალანტი. უდიდეს პოპულარობას, რომელიც კარგა ხანია გასცდა პოლონეთის საზღვრებს, ზვიშევი უნდა უმადლოდეს არა მარტო უჩვეულო ნიჭსა და აქტიორულ უნარს. ეს იყო ვი და ც, ე. ი. ბოლომდე შეუცნო-

მყურებელი ხშირად უსამართლოა. იგი მსახიობს აკრიტიკებს სწორედ იმისათვის, რისთვისაც ეს უკანასკნელი უყვარს. ხალხს ასეთად სურს იგი იხილოს და აქ ვერაფერს უშველის მეცნიერული თეორიები იმის თაობაზე, რომ მსახიობი ყოველ როლში უნდა იცვლებოდეს. დღეს მსახიობისაგან მოითხოვენ ნაკლებს და ეს „ნაკლები“ სინამდვილეში ბევრად უფრო მეტს ნიშნავს. იგი უნდა დარჩეს თავისთავადი და, ამავე დროს, როლის ტექსტის იქით ყოველთვის უნდა ამბობდეს რაღაც ახალს.

ვფიქრობ, ზვიშევი ამის გაკეთება კარგად ეხერხებოდა.

ზვიშევი — მდიდარი პიროვნება იყო. დადგება დრო და შევძლებთ ამ პიროვნების ხასიათის ნიშნების განსაზღვრას. ჯერჯერობით კი ძნელია, ჯერჯერობით ძალიან ნადრევი... ჯერჯერობით არსებობს და კიდევ დიდხანს იარსებებს ამ ადამიანის მიმხედველი მომხიბვლელი.

(სტი ც ე ლ ი ტ ე რ ა რ ს კ ე ა , ვ ა რ შ ა ვ ა)

პოლონურიდან თარგმნეს სტ. რაზინკა და მანეჩა ზინდაპორიძე.



ევროპის კონტინენტს აშუამად კვლავ ავისმომას-
წავებელი აჩრდილი დასტრიალებს თავს. კაიზერუ-
ლი და პიტლერული გერმანიის დღევანდელი მემ-
კვიდრე — ბონის სახელმწიფო კვლავ იქცევა და-
ძაბულობისა და ახალი ომის საშიშ კერად; გერმა-
ნული იმპერიალიზმი კვლავინდებურად ლამობს
ტერორის ქვეშ დააყენოს ევროპის ხალხები. იგი
ადგენს ევროპის რუკის „ახლებურად“ გადაკეთე-
ბის გეგმებს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლი-
კის შეიარაღებულმა ძალებმა თავიანთი რაოდენო-
ბით თითქმის ხუთჯერ გადააჭარბეს ვიეშარის რეს-
პუბლიკის „შვ რეისერს“, რომლის ბაზაზეც შემ-
დეგ პიტლერმა შექმნა მრავალმილიონიანი გერმან-
ტი. დღეს ბუნდესვერს, რომელიც ერთ-ერთი უდი-
დესი არმია გახდა, ითვისებს ნახევარ მილიონამდე
კაცს. სახმელეთო ჯარების შემადგენლობაშია შვი-
დი მოტორიზებული, სამი სატანკო, ერთი სამთო-
მსროლელი და ერთი ავიოსადგენი დივიზია.
ბუნდესვერის გამგებლობაშია (ჯერჯერობით, ნა-
ტოს ფარგლებში) სხვადასხვა სახის ატომური ია-
რადის 700 ერთეული. გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკა უკვე შეუდგა საკუთარი ატომური
ძალების შექმნას. ატომური კვლევის მსხვილი ცენ-
ტრები შეიქმნა ჰამბურგში, კარლსრუეში, იურლინ-
სა და მიუნხენის რაიონებში. როგორც ინგლისის
სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი აღნიშნავს, მო-
მავალში დასავლეთ გერმანია შეძლებს წელიწადში
ნახასკივი ჩამოგდებული ბომბის ტიპის 186 ატო-
მური ბომბის გაკეთებას. გარდა ამისა, ნატოში გა-
ერთიანება ბუნდესვერს სრულიად არ უკარგავს
სტრატეგიულ დამოუკიდებლობას. ამას მოწმობს
თუნდაც ის ფაქტი, რომ 1965 წელს სამეთაურო-
ნაშტაბო მეცადინეობებზე იპრევდმა დასავლეთგერ-
მანულმა კორპუსმა ჩაატარა ნატოს ხელმძღვა-
ნელობიდან თავისი დივიზიების გამოყვანის რეპე-
ტიცია და დაამუშავა „შემტევი მოქმედებანი“ გერ-
მანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა
კავშირის წინააღმდეგ. აქვე უნდა დავუმატოთ
ისიც, რომ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებულ ძა-
ლებს სათავეში უდგანან ყოფილი პიტლერული
ოფიცრები და გენერლები, რომლებმაც ვერაფერი
ვერ შეიგნეს და ვერაფერი ვერ ისწავლეს ისტო-
რიის მწარე გაკეთებებისაგან.

ბუნდესვერის იდეოლოგიური ბაზა — თავაწყვე-
ტილი რევანშოზიზმი. თანამედროვე რევანშოზიზმი
სრულიად არ წარმოადგენს რაღაც სოსხლეს გერ-
მანული იმპერიალიზმის ისტორიაში. შეიცვალა
მხოლოდ მისი ფორმა. რევანშისტები აშუამად აყე-
ნებენ 1918 წლის საზღვრებში დაბრუნების მო-
სოვნას; ყოველივე ეს გულმოდგინედ არის შეზა-
ვებული ლიტონი სიტყვებით „თვითგამორკვევის
უფლებებისა“ და „სამშობლოზე უფლებების“ შესახებ.
ამ პოლიტიკის შესაბამისად, გერმანიის ფედე-
რაციული რესპუბლიკის ბევრ ქალაქში ეწეობა
მიტინგები, დემონსტრაციები და ჩირადენებით
სვლა, რომლებიც საოცრად ჰგავს ოცდაათიანი
წლების ნაციტურ თავყრილობებს; მის პოლიტი-
კურ ცხოვრებაში სულ უფრო შესამჩნევ როლს ას-
რულებენ პროფაზისტური ორგანიზაციები, კავში-
რები და ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ ნეონა-
ციტური სულით მოწამლონ დასავლეთ გერმანი-
ის მოსახლეობის ფართო ფენებს; ამ ორგანიზაცია-
თა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ე.წ.
ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას, რომლის წარ-
მომადგენლებმა ამასწინანდელი არჩევნების შედე-
გად დებუტატების ადგილები მიიღეს ჰენსენისა და
ბავარიის ლანდტაგებში; ამ პარტიის წარმომადგენ-
ლები კამპანიას ეწევიან ნაციონალის სრული რეპი-
ლიტაციისათვის, ცდილობენ გაამართლონ პიტლერ-
რელ სამხედრო დამაშავებელი ბოროტმოქმედებანი,
თვითონ ისინი კი ლამის ეროვნულ გმირებად წარ-

მოგვიდგინონ. ნეონაციტები მოითხოვენ დასავლეთ
გერმანიის რაკეტულ-ატომური იარაღით აღჭურ-
ვას, გენერალური შტაბის აღდგენას, ახალი მსოფ-
ლიო ომის ხანძრის გაღვივებას. „ჩვენ, გერმანელები,
კვლავ რაღაცას წარმოვადგენთ!“ „არავის ნებას
არ მივცემთ თავს მოგვანვიოთ ახალი გერმანი!“
„დროა ბოლო მოვუღოთ ლაპარს გერმანული და-
ნაშაულის შესახებ!“ — აი ის ნაციონალ-შოვინის-
ტური მოწოდებანი, რომლებსაც ასე უხვ საკენკად
უყრიან გერმანელებს ახლად მოვლენილი ნაციონ-
ალ-დემოკრატიული პარტიის მიმდევრები.
რა თქმა უნდა, გერმანიის ფედერაციული რეს-
პუბლიკის ხელმძღვანელებისათვის ძნელი არ იყო
ეს ნეოფაშისტური ორგანიზაციები შეენიღბათ.
მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს და, როგორც ჩანს, არც
გაკეთებენ. უურნაღისტების ერთ ნაწილს ახლაც
კარგად ახსოვთ რენდსბურგში შეხვედრის დროს
ერთი ყოფილი ესენელის აღფრთობა. „როცა ოც-
დაცამეტში ბატონებმა რეისტაგში ხელისუფლება
გადასცეს პიტლერს, — წამოიძახა ამ ვაუბატონმა,
— მე თოთხმეტი წლის ვიყავი. ახლა იგივე ბატო-
ნები სხედან ბონში და თითო ანისებენ ჩემზე:
შეხედეთ, ეს მკვლელი და დამაშავებელი ჩვენ
აღიბისთვის ვუნდითვართ“. მმართველ პარტიაში შე-
მავალი ბატონებისათვის ნეოფაშისტური ნაციონ-
ალ-დემოკრატიული პარტიის არსებობაც თავისე-
ბური აღიბია. მის ფონზე ისინი, „შვიდობისა და
სამართლიანობის“ მაღალფარდოვან ლოზუნგებს
ამოფარებული, თავიანთი რევანშისტული პოლი-
ტიკით თითქმის უფრო მცირე ბოროტებად გამოი-
ყურებნან.

დას, თავის საგარეო პოლიტიკის დარგში ახ-
ლანდელ ბონელ ხელისუფალთ აღარ შეუძლიათ
ისე აშკარად და უხეშად ილაპარაკონ თავიანთ დიდ-
მპყრობელურ ზრახვებზე, როგორც ამას ოდენაც
„ათასწლიანი იმპერიის“ მებარაბტრენი სჩადიო-
დნენ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სა-
გარეო პოლიტიკა არის რევანშის პოლიტიკა ახალ
ეტაპზე, ახალი ისტორიული პირობების გათვალის-
წინებით, რადგან რევოლუციური გარდაქმნების
მძლავრმა გრიგალმა ამ უკანასკნელი ათი წლის
მანძილზე ბევრი რამ შეცვალა, როგორც თვით გერ-
მანიის ტერიტორიაზე, ისე მის ირგვლივ არსებულ
სამყაროში. და მიუხედავად ასეთი გულმოდგინე
შენიღებისა, ბონის საგარეო პოლიტიკა მაინც შე-
დონედ განიცდის მარცხს და წარუმატებლობებს.

ბონში, მიუნსტერბლატზე, იქ, სადაც შვებ კვარ-
ცხლებზე აღმართულია ბეთშოვინის ქანდაკება,
არის მდიდრული სასტუმრო „ბერგიშერ შოფი“. აქ
ჩვეულებრივად იკრიბებიან ხალხი ისინი, ვისაც
„აქვს რაღაც სათქმელი“ — მთავრობის წევრები,
სხვადასხვა პარტიების ლიდერები. მაგრამ ახლა
უურნაღისტებისთვის გამართულ ტრადიციულ
„ლუდის საღამოებზე“ ამ ბატონებს უჭირთ ძველ-
ბური გულახდილობით ლაპარაკი. აქ ყველას ახ-
სოვს როგორ დაატაკა თითი ამ ექვსი წლის წინათ
მსოფლიოს რუკაზე საბჭოთა კავშირის კონკრეტულად
ნაურჩმა და წამოიძახა: „აი ჩვენი მოსისხლე მტე-
რი!“ მაგრამ შემდეგ წლებში იძულებული გახდა
ეღიარებინა, რომ ასეთ „გულახდილობას“ კარგი
არაფერი მოსდევს: „ბატონებო და ქალბატონებო.
არასოდეს არ ყოფილა ჩვენი მდგომარეობა ისე
მძიმე, როგორც ახლა“. ამის შემდეგ ეს ხელმოცარ-
ული პოლიტიკოსი იძულებული გახდა დაეტოვებინა
მთავრობის ხელმძღვანელების პოსტი. კონკრეტულად
ადენაუერმა თოთხმეტი წელი დამყო კანცლერად,
მისმა შემცვლელმა ერმარდმა სამ წელიწადსაც
ვერ გაძლო ამ პოსტზე. ადენაუერის იდეურმა მემ-
კვიდრემ ჯიუტად განაგრძო ბრძოლა ბუნდესვერის
ატომური იარაღით აღჭურვისათვის, მეზობელი სა-
ხელმწიფოების მიმართ წამოყენებული ტერიტო-

რიალური პრეტენზიების განხორციელებისათვის,
იმისათვის, რომ ბონი ეღიარებინათ „მთელი გერ-
მანიის“ პოლიტიკის ერთადერთ გამომხატველად. ამ
პოლიტიკური თამაშის შედეგად იგივე აღმოჩნდა:
ჩინი, იზოლაცია, სკანდალური მარცხი — ერმარ-
დის დღემოკლე კაბინეტი ელვის სისწრაფით დაი-
შალა. ბონში საჩქაროდ დაუწყეს ძებნა „ძლიერ
კაცს“. და აი მის პოლიტიკურ ასპარეზე ამოტივ-
ტივდა ახალი პიროვნება — უტრტ კიზინგერი.

ვინ არის ეს კაცი? საქმარისია იმის აღნიშვნა, რომ
იგი 1988 წლიდან ნაცისტების პარტიის წევრი
იყო. პიტლერული გერმანიის განადგურების შემ-
დეგ თვრამეტე თვეს იმყოფებოდა ინტერნირებულთა
ბანაკში. 1948 წელს შევიდა ქრისტიან დემოკრატი-
თა პარტიაში, შემდეგ არჩეულ იქნა ბუნდესტაგის
დებუტატად, ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კო-
მისიის თავმჯდომარედ, ევროპის საბჭოს კონსულ-
ტაციური სახლების წევრად, 1958 წელს კი — ბა-
დენ-ვიურტემბერგის მიწის მთავრობის პრემიერ-
მინისტრად.

წინამორბედებმა ცუდი მემკვიდრეობა დაუტო-
ვეს ახალ კანცლერს. დასავლეთგერმანელი ხალხის
დიდ ნაწილს ბევრი რამ აღარ სჭარა საკუთარი
მთავრობისა. თვით ევანგელური ეკლესიაც კი გა-
მოვიდა სპეციალური მემორანდუმით, რომელშიც
მხარი დაუჭირა არსებულ საზღვრების აღიარე-
ბას; ამ მემორანდუმის ავტორებს გაფრთხილთ და-
ესხნენ თავს რევანშისტული გაერთიანებები. მოსახ-
ლეობის პროგრესულად განწყობილი ფენები კი
უკვე აშკარად განიხილავენ საკითხებს გერმანიის
დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობის აუცილებ-
ლობისა და გერმანულ მიწაზე „ცივი ომის“ შეწყ-
ვეტის შესახებ.

რა თქმა უნდა, ამგვარი სულისკვეთების გაძლი-
ერებამ დიდად შეაშფოთა ბონელი პოლიტიკოსე-
ბი. ბუნდესტაგმა სასწრაფოდ მიიღო ახალი „კანო-
ნი — ბორკილი“, რომლის თანახმად გერმანიის დე-
მოკრატიული რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე,
რომელიც ფებს დადგამს დასავლეთ გერმანიის ტე-
რიტორიაზე, დაპატიმრებული და გასამართლებუ-
ლი იქნება. როგორც ვხედავთ, რევანშოზიზმი კვლავ
ცდილობს თავისი გაიტანოს და თუმცა კანცლერ-
მა კიზინგერმა უკვე არაერთგზის განაცხადა, რომ
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრო-
ბა ესწრაფვის დაძაბულობის შენელებას ევროპაში
და სოციალისტურ ქვეყნებთან დიპლომატიური ურ-
თიერთობის დამყარებას, რევანშისტული დოლე-
ბის ხმაური დასავლეთ გერმანიის მიწებზე მაინც
არ შეწყვეტილა. პირიქით, იგი სულ უფრო ძლიერ-
დება და სულ უფრო მეტად იწვევს მშვიდობისმო-
ყვარე ხალხების შეშფოთებას. ბონი არ თმობს თავის
მოლიბულ გზას. მის პოლიტიკურ ცხოვრებაში
იცვლება მხოლოდ ნიღბები, არსი კი ძველებური
რჩება.

მაგრამ ხალხებს სწყურიათ მშვიდობა, მათ კარ-
გად იციან რისთვის ისწრაფვიან დასავლეთგერმანე-
ლი მილიტარისტები რაკეტებისა და ატომური ბომ-
ბებისაკენ, და ისინი სამართლიანად მოითხოვენ
საზღვარი დაედოს რეაქციის ძალების თარეშს. მიმ-
დინარე წლის 28 იანვარს საბჭოთა მთავრობამ ერ-
თხელ კიდევ გააფრთხილა ბონის მესვეურები და
მთელი მსოფლიოს გასავიანად განაცხადა:

„საბჭოთა ხალხი, სხვა სოციალისტური ქვეყნე-
ბის ხალხები და, შეიძლება დარწმუნებით ითქვას,
სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხები მთელ თავის
რისხვას, მთელ თავის ძალას დაატყვევენ თავზე
მათ, ვინც რევანშისაკენ მისწრაფებით თავს მოახ-
ვევს კაცობრიობას ახალი ომის უბედურებებს“.



მატჩი პარიკმანერებსა და მსახიობებს შორის

ქალაქ სანდანსის (ბულგარეთი) პარიკმანერებმა სანადლეო წააგეს: აიერიდან, ხუთი წლის მანძილზე, მათ მუქთად უნდა პარსონ და კრიკონ ადგილობრივი თეატრის მსახიობები.

სანადლეოს ბედი სპორტულ შეჯიბრებს უნდა გადაეწყვიტა; და აი, პარიკმანერების გუნდმა ორჯერ ზედოვდა წააგო შეჯიბრება მსახიობთა ნაკრებ გუნდთან ფეხბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. დათქმული პირობის თანახმად, თუ პარიკმანერები გაიმარჯვებდნენ, ხუთი წლის მანძილზე უფასოდ მიიღებდნენ თეატრის ბილეთებს.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სცენის ოსტატებმა აჯობეს „ფუნჯის ოსტატებს“.



მაიმუნის საჭესთან

ფლორიდის შტატში (აშშ) მიიღეს კანონი, რომელიც ავტომანქანების მართვას უკრძალავს... მაიმუნებს.

ამ უცნაური კანონის მიღება შემდეგი გარემოებით იყო გამოწვეული: ფლორიდის შტატის დიდი ქალაქის — მაიამის ცენტრალურ ავტომაგისტრალზე, ერთ მშვენიერ დღეს, საფრთხივად მდგომმა პოლიციელმა დაინახა მანქანა, რომლის საჭესთან მაიმუნი იჯდა. გაცივებული პოლიციელი ერთ ადგილზე გაშეშდა. როცა გონს მოეგო, განგაში ასტეხა და მანქანა შეაჩერეს.

კაბინიდან გადმოვიდა მანქანის პატრონი, რომელიც მანამდე მაიმუნის გვერდით არხინად იჯდა სავარძელში და აღუფრთხილებლად იკითხა, თუ რაში იყო საქმე. როცა მოძრაობის მოწყობის გეგმას განუმარტა, რომ სა-

ქვსთან მაიმუნის ჯდომა სიცოცხლისათვის სახიფათოა, მანქანის პატრონმა პოლიციელს სთხოვა, ჩამჯდარიყო ავტომობილში და საკუთარი თვალთა დარწმუნებულებით თუ რაგორი გამოცდილი შოფერი იყო მისი მაიმუნი.

პოლიციელი ამ წინადადებაზე დათანხმდა. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ქალაქის თიოქმის ყველა ქუჩა შემოიარეს, პოლიციელი დარწმუნდა, რომ მანქანის პატრონი მართლაც ამბობდა: მაიმუნს გასაოცარი ოსტატობით დაჰყავდა მანქანა, იგი ადგილიდან მსუბუქად სძრავდა ავტომობილს. პატრონის მითითებით შუქნიშნებთან სწრაფად აჩერებდა მანქანას, ყოველგვარი წესების დაცვით ახდენდა გადასწრებას, ერთი სიტყვით, „შოფერს“ არ დაუშვია რაიმე ისეთი შეცდომა, რომელშიც პოლიციელს შეეძლო გამოედავებოდა მას.

ეს ამბავი პოლიციელმა წერილობით აცნობა თავის უფროსს; რამდენიმე წლის შემდეგ კი გამოკვეთდა კანონი, რომელშიც მაიმუნებს აუკრძალა საჭესთან ჯდომა.



რა მოსდევს თარგმანის თარგმანს

როგორ სიზუსტეს ინარჩუნებს ტექსტი ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის დროს? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ფრანგი ლინგვისტების ჯგუფმა გონებამახვილური ექსპერიმენტი ჩაატარა.


სხვადასხვა ეროვნების თოთხმეტი გამოცდილი მთარგმნელი მრავალი მაგიდის გარშემო იმგვარად დასხდნენ, რომ თვითთულმა მათგანმა მხოლოდ მის მარჯვნივ მჯდომი მეზობლის ენა იცოდა.

კენჭის ყრის შემდეგ პირველი სიტყვა გერმანულს ერგო. მან ფურცელზე დაწერა წინადადება: „ლუდის გამონდის ხელოვნება ისევე ძველია, როგორც კაცობრიობის ისტორია“; და თავის ნაწერი ხელმარცხნივ მჯდომ მეზობელს გადასცა. ამ მეზობელმა გერმანულ ენაზე დაწერილი წინადადება თავის მშობლიურ ენაზე დაწერა. მან დათარგმნა, სუფთა ფურცელზე გადაწერა და მარცხნივ მჯდომ მეზობელს გადასცა. სათარგმნელად.

ამგვარი წესით წინადადება ერთი მთარგმნელიდან მეორის ხელში გადადიოდა და თვითთული მათგანი მას თავის მშობლიურ ენაზე თარგმნიდა.

საბოლოოდ წინადადება ისევ გერმანულს დაუბრუნდა; თარგმანი მან უნგრულ ენაზე მიიღო, ხელახლა გადათარგმნა გერმანულ ენაზე, და, დახეობ, მის წინაშე ასეთი მოულოდნელი წინადადება აღმოჩნდა: „ლუდის უხსოვარ დროიდან არის ადამიანის ერთ-ერთი უსაყვარლესი სახელო“.

როგორც ვხედავთ, თარგმანის თარგმანს მოჰყვა ის, რომ ფრაზის პირვანდელი აზრი სრულიად შეიცვალა.



უცნაური დუელი

ორ ამერიკელ ახალგაზრდას — სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტ ჰოლანდს და მომავალ იურისტს ბრაიენს ქალიშვილის გამო ჩხუბი მოუვიდათ. ჰოლანდმა ბრაიენს ვისკი შეახსა სახეში, ბრაიენმა კი ჰოლანდს ყბაში მუშტი უთავაზა. ამ ჩხუბის შემდეგ ახალგაზრდები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კონფლიქტის მოსაგვარებლად მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობდა — დუელი.

ორიგინალური დუელი ვრცელ მოედანზე შედგა. მოწინააღმდეგეები მანქანებში ჩასხდნენ და მოტორები აამუშავეს. რამდენიმე წამის შემდეგ მანქანები ადგილიდან მოწყდნენ, წინ გაქანდნენ და ერთმანეთს შეასკდნენ. დუელის შემდეგ ჰოლანდმა მარჯვენა ყური დაჰკარგა, ბრაიენს კი ისე ჩაეჭყლიტა ცხვირი, რომ გამოცდომმა ქირურგებმაც ვერ შესძლეს მისთვის ძველი ფორმა დაებრუნებინათ.


როგორც ვხედავთ, დუელის „ტექნიკა“ ამერიკაში ეპოქის შესაბამისად მიაბიჯებს წინ.



ხველაზე სასუკეთესო მხარე

ინგლისში მოეწყო კონკურსი იმის გამოსარკვევად, თუ ვინ არის ყველაზე სასუკეთესო მხარე. კონკურსში მონაწილეობას იღებდა 569 კაცი: ჯილდოდ დაწესებული იყო 400 გირვანქა სტერლინგი. გამარჯვება ჯონ ლევიგემპმა. როგორც გამოიკვია, იგი ყოველ დღით ჯერ ისევ საწოლში მიაჩნებოდა ხოლმე ცოლს საუზმეს, ეხმარებოდა ქურჭლის რეცხვაში, ალაგებდა ოთახებს, დადიოდა მალაჩიებში და, ამასთან, არასოდეს არ ეჩხუბებოდა.

როგორც კი კონკურსი დასრულდა, ახლმა „იდელურმა მხარე“ დაუარკვეა ერთ-ერთ ცნობილ ლონდონელ ადვოკატსა და მიანდო მას თავის მეუღლესთან განქორწინების საქმე...



სად დავაყენოთ ავტომობილი

ინგლისის დიდი ქალაქებისათვის ეს არცთუ იხე ადვილი პრობლემაა. პატრონები ხშირად ადვილს ვეღარ პოულობენ მანქანის განაჩერებლად. საქმის გასაადვილებლად კონსტრუქტორებმა სპეციალური მანქანები შექმნეს.

ამ ავტომობილებს ბარგის ჩასაწყობი წინიდან აქვთ; მოტორი, ბენზინის ავზი და ლითონის სხვა მძიმე კონსტრუქციები კი უკანა დერძვა განლაგებული; ამის გამო მანქანის ბოლო ნაწილი მნიშვნელოვნად უფრო მძიმეა და ავტომანქანა თავისუფლად შეუძლია ასწიოს ერთმა კაცმა.

მანქანას ბოლოში მიმაგრებული აქვს რეზინის ბალიშები და ლითონის საბჭინი, რომლებსაც ეყრდნობა იგი, როცა „უალუზე“ დააყენებენ.

ასეთი წესით ქუჩაში მანქანის განაჩერებლად ახლა უკვე სავსებით საკმარისია ერთი ან ორი კვადრატული მეტრის ფართობი.

გარეკანის პირველ გვერდზე: კინორეჟისორი ლანა ლოლობერიძე. ფოტო თარხან არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: ქორწილი გურიაში. ფოტო ოთარ თურქიასი.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ. მგ. მღვანეი თ. გოგოლაძე.

საბ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნილია. ტექნიკური რედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ.მგ. მღვანის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/III-67 წ. გამომც. № 67, ქალ. ზომა 70x108/8, 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 36.200. შეკვ. № 659, უფ. 01948

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.





თბილისის №-ე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე თემურ ძიგრაშვილი რამდენიმე წელია. რაც გატაცებით მუშაობს ხის მხატვრულ დამუშავებაზე თემურის მამა არკადი — გეოლოგია. საველე სამუშაოებზე ყოფნის დროს არკადი გულმოდგინედ არჩევს მცენარეების ფესვებისა და ტოტების ნაწილებს. რომლებსაც შემდეგ მხატვრულად ამუშავებს თემური. ახალგაზრდა დეკორატორის ორიგინალურმა ნამუშევრებმა პირველი ხარისხის დიპლომები და სიგელები დაიმსახურა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოწიბილ მსოფლიოს ბავშვთა ნამუშევრების გამოფენებზე.

ვაქვეყნებთ თემურ ძიგრაშვილის რამდენიმე ნამუშევარს

ფოტო ოთარ თურქიანი

კ ა კ ა ბ ი .



ს ა ფ ე რ ფ ლ ე




დ ო ქ ი .



ს ა ფ ა ნ ქ რ ე

ს უ რ ა .

კ ე ნ ტ ა ვ რ ი .



ИНДЕКС 76056

0 27 63

